# ლელო

№ 33
(11 285)

4 – 6 მაისი, 1999 წ.  ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## დიახ, ეს იყო 1918 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება

„ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით, რომ „სათამაშო ქაღალდისთვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების“ თაობაზე 1918 წელს საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ საგანგებო კანონი გამოსცა. ეს ფაქტი გავიხსენეთ იმიტომ, რომ ქართული სპორტი იღუპება, ჩვენმა ახლანდელმა ხელისუფლებამ კი, მიუხედავად მისდამი არაერთგზის წაყენებული თხოვნისა, მოახდინოს ჩვენს ქვეყანაში ლატარიების სახელმწიფო მონოპოლია და შემოსავლები სპორტს მოხმარდეს, ამ საკითხის გადაჭრას საშველი არ დააყენა.

ბევრს არც სჯერა, რომ 1918 წელს მართლა იყო მიღებული ხსენებული კანონი, ზოგს ეგონა, რომ ეს კორექტურაა და დაგვირეკა, 1998 წელი უნდა იყოსო. არა ბატონებო, ყველაფერი სწორია. 1998 წელს სხვა სახელმწიფო სტრუქტურები გვქონდა, გვაქვს დღესაც, თანაც ამ საკითხზე 1998 წელს არანაირი კანონი არ ყოფილა ჩვენში მიღებული. თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ 1918 წლის დოკუმენტის ასლს, ვინძლო ჩვენმა მთავრობამ და საკანონმდებლო ორგანომ, იქნებ ესეც დაიდოს პრობლემის გადაჭრის საფუძვლად, ცხადია, მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკასთან ერთად. შეგახსენებთ, ბელორუსიამ უკვე მოაგვარა ეს პრობლემა.

### სათამაშო ქაღალდისათვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა

**საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 12 ნოემბრის კანონი**

1. სათამაშო ქაღალდის დამზადება საქართველოს მიწა-წყალზე გამოცხადებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო მონოპოლიად. უკვე დამზადებულ სათამაშო ქაღალდი გადაიდოს სახელმწიფო საკუთრებად.

2. სათამაშო ქაღალდის გაყიდვიდან აღებული ფული 1918 წ. მაისის 26-დან ჩაირიცხოს საქართველოს ხაზინის შემოსავლად.

## 18 მედალიაო, სამბისტებმა!

ამ მოკლე ინფორმაციის და კიდევ იმის თქმა მოუსწრია ძალზე ცუდი სმენადობის სატელეფონო საუბარში ჩვენი სამბისტების ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს, ოლეგ იაძეს, რომ ევროპის ჩემპიონი გამხდარა ივანე გამხიტაშვილი (90კგ) — ერთადერთი ძირითადი გუნდიდან. მისი თანაგუნდელებიდან კიდევ ხუთნი კი საპრიზო ადგილზე გასულან. თითო ჩემპიონი გვყოლია აგრეთვე ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებიდან. სულ, სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, ჩვენებს 18 მედალი მოუპოვებიათ. დავძენთ, რომ 15 სპორტსმენი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააფინანსა, კიდევ 12 კი საკუთარი თანხით ან სპონსორთა შემწეობით გაემგზავრა ჩემპიონატზე.



ივანე გამხიტაშვილი

## ტყვიის სროლა. მსოფლიო თასი

## ნინო სალუქვაძე პირველ ეტაპზე მეორეა



ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მეორე პრიზიორმა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც ამ წარმატებას 1988 წელს მიაღწია სეულში, 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია პირველმა მოიპოვა საქართველოს სპორტსმენებიდან. ნინო ამ დღეებში იმავე სეულში ასპარეზობდა მსოფლიოს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე, რომლის ბოლო, დასკვნითი მე-4 ეტაპი ამ შემოდგომაზე გაიმართება ატლანტაში. თასის წლევანდელ გათამაშებაში ჩაება 47 ქვეყნის 368 მონაწილე. მისი პროგრამა ოლიმპიურისგან იმით განსხვავდება, რომ ვარჯიშების რაოდენობაა გაზრდილი. პროგრამა ყველა ეტაპზე უცვლელია და საერთო მაჩვენებლების შეჯამებით გამოვლინდებიან გამარჯვებულები და პრიზიორები.

ნინო სალუქვაძემ, რომელსაც მწვრთნელად, როგორც ყოველთვის მამამისი ვახტანგ სალუქვაძე ახლდა, ეტაპი წარმატებით დაიწყო. სპორტული პისტოლეტით (ძირითადი ვარჯიში) 25 მეტრზე მრგვალ სამიზნეებზე და სილუეტებზე სროლაში (30+30) ნინომ დააგროვა 588 (294+294) ქულა 600-დან და მეორე ადგილზე გავიდა, რითაც ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. პირველი იყო ჩინელი გაო ინგი — 592 (296+296), მესამე — რუსეთელი მარინა ლოგვინენკო — 584 (289+295). მათ გარდა, ფინალში გავიდა კიდევ 5 მსროლელი.

ფინალში, ინგმა და სალუქვაძემ შეინარჩუნეს პირველი და მეორე ადგილები (აქ შედეგს ემატებოდა ძირითად ვარჯიშში მიღებული ქულები). ინგმა დააგროვა 693,2 (101,2+592) ქულა, ნინომ — 686,9 (98,9+588), მესამე პრიზიორი გახდა საბერძნეთის წარმომადგენელი აგატი კასოუმი — 684,8 (100,8+584).

დავძენთ, რომ სულ გათამაშდა 33 მედალი სხვადასხვა დისციპლინაში. ამერიკელებს ხვდათ მხოლოდ 1 ბრინჯაოს მედალი, რუსეთს — 2 (ოქრო და ვერცხლი). ყველაზე მეტი მედალი ხვდათ ჩინელებს — 7 (ოქრო-4, ვერცხლი — 1, ბრინჯაო — 2).

## ქართველ ლეგიონერებს თავიანთ კლუბებში გოლები გააქვთ



შოთა არველაძე «აიაქსი»



არჩილ არველაძე «ბრედა»



მიხეილ ყაველაშვილი «გრასჰოპერსი»



ლევან კობიაშვილი «ფრაიბურგი»

## კოლეგია

## სიდნეის ნიშნით!

„სიდნეი-2000“ დღეს უპირველესი საზრუნავია მსოფლიო სპორტული საზოგადოებისთვის, რომლის ერთიან ოჯახში საქართველოს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. მაგრამ ერთია რიგითი წევრობა და მეორე თავის გამოჩენა და პლანეტის ყურადღების ცენტრში მოხვედრა. ქართულ სპორტს, დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, მდიდარი სპორტული მემკვიდრეობა დარჩა, მაგრამ აღმასვლის ტემპი ვეღარ შეინარჩუნა — გამოეცალა ეკონომიკური საყრდენი, აქედან გამომდინარე ყველა საგანგაშო შედეგით.

შეუძლებელია სპორტსმენს წაართვა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება, ხოლო მანამდე არ მისცე მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობის საშუალება. მწირი დაფინანსების პირობებში კი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ათასი პრობლემის გადალახვა უწევთ, რათა დაიცვან ჩვენი სპორტსმენების უფლებები და საქართველო არ მოწყდეს მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობას.

სპორტის დეპარტამენტი სწორედ მოიქცა, როცა თავისი კოლეგიის სხდომაზე სალიცენზიო შეჯიბრებებისათვის ჩვენი წამყვანი სპორტსმენების მზადების საკითხზე საგანგებოდ იმსჯელა. ლოგიკური იყო ამავე სხდომაზე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაწეულ მუშაობასა და პერსპექტივებზე მსჯელობა. სპორტული მედიცინის ფედერაციასთან, რომლის პრეზიდენტია საქართველოს შსს სამედიცინო სამსახურის უფროსი, წარსულში ცნობილი ხელბურთელი გია აბესაძე, ამ ინსტიტუტის თანამშრომლობით უნდა გადაიჭრას ოლიმპიური თამაშების კანდიდატთა სამედიცინო გამოკვლევების პრობლემა. სეოკი-ის პრეზიდენტმა ჯანსუღ ბაგრატიონმა ისიც აღნიშნა, რომ შეიძლება გამოინახოს 5-6 სპეციალისტის ანაზღაურების შესაძლებლობა, რათა სამედიცინო-სამეცნიერო სპეციალურმა ჯგუფმა ეფექტურად იმუშაოს.

გადაწყდა შეიქმნას ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების საგანგებო შტაბი, რომელიც ოპერატიულად წამოსწევს და გადაჭრის ეტაპობრივად მოსაგვარებელ საკითხებს.

„ლელო“ – „გუმათი“

## სფფ იტყობინება

**1 მაისიდან დაკავებული თანამდებობიდან სფფ-ს ბრძანებით განთავისუფლდნენ:**

**1. ვ. გუცაევი** — საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი
**ხ. კუტივაძე** — ნაკრების მწვრთნელი
**გ. პანოვი** — ნაკრების მწვრთნელი
**დ. ზაალიშვილი** — ნაკრების ექიმი
**ა. გაბიტაშვილი** — ნაკრების მასაჟისტი
**დ. ნამგალაძე** — ნაკრების ადმინისტრატორი
**ნ. ნარხია** — ნაკრების ვიდეოოპერატორი

**2. გ. იმნაძე** — ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი
**ო. გაბელია** — ნაკრების მწვრთნელი
**თ. ჩხაიძე** — ნაკრების მწვრთნელი
**ზ. ლომინაძე** — ნაკრების ექიმი

ამ გადაწყვეტილების მიზანია, საშუალება მიეცეს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ახალ მთავარ მწვრთნელებს ჩამოაყალიბონ ნაკრებების ხელმძღვანელობათა განახლებული გუნდები, ხოლო რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებს, სფფ ყველა ღონეს იხმარს მათი დასაქმებისათვის. თუკი ამ პირთა დასაქმება სფფ-მ ვერ შეძლო, მაშინ მათი განთავისუფლება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## ეროვნული ჩემპიონატი

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 25 | 20 | 5 | 0 | 74-12 | 65 |
| 2. ტორპედო | 25 | 17 | 4 | 4 | 60-21 | 55 |
| 3. ლოკომოტივი | 25 | 14 | 10 | 1 | 33-12 | 52 |
| 4. კოლხეთი | 25 | 12 | 5 | 8 | 51-35 | 41 |
| 5. დინამო (ბთ) | 25 | 10 | 10 | 5 | 34-18 | 40 |
| 6. მერანი | 25 | 9 | 9 | 7 | 24-22 | 36 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 25 | 11 | 4 | 10 | 30-23 | 34* |
| 8. იბერია | 25 | 9 | 5 | 11 | 37-40 | 32 |
| 9. დილა | 25 | 9 | 5 | 11 | 29-40 | 32 |
| 10. არსენალი | 25 | 7 | 10 | 8 | 29-40 | 31 |
| 11. გორდა | 25 | 5 | 10 | 10 | 21-35 | 25 |
| 12. სამგურალი | 25 | 7 | 3 | 15 | 22-45 | 24 |
| 13. სიონი | 25 | 6 | 6 | 13 | 24-44 | 24 |
| 14. თსუ | 25 | 5 | 9 | 11 | 17-28 | 24 |
| 15. ოდიში | 25 | 6 | 2 | 17 | 19-49 | 20 |
| 16. გურია | 25 | 3 | 3 | 19 | 23-63 | 12 |

* „ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა.

## ვარაუდი

## შეიძლება, ბოსკამპი!

ახლა ხმამაღლა, გადაჭრით არავინ ამბობს თუ ვინ შეცვლის ვლადიმერ გუცაევს, მაგრამ საქმე იქითკენ მიდის, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად შეიძლება 50 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი იოჰან ბოსკამპი მოგვევლინოს. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ ეს უცხოელი უკვე დაინიშნა „დინამოს“ მწვრთნელად, სადაც მან ხურცილავა შეცვალა და ეს იმ დღეებს დაემთხვა, როცა თბილისში ცნობილი ქართველი ბიზნესმენი მიხეილ სურგულაძე ჩამოვიდა. ეს ის მიხეილ სურგულაძეა, რომელიც თანადგომას ჰპირდება „დინამოს“ და დიდი სურვილი აქვს ჩვენები ევროპის ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე იხილოს. საამისოდ კი მზადაა, თუნდაც უცხოელები მოიწვიონ „დინამოში“. დიახ, არ არის გამორიცხული, რომ ბოსკამპმა ეროვნული ნაკრებიც ჩაიბაროს დროებით. შეთავსების ასეთი პრეცედენტი კი ადრე უკვე ყოფილა ჩვენთან. რით არის მომგებიანი ბოსკამპის მოსვლა ეროვნულ ნაკრებში? ჯერ ერთი, ახლა სიტუაციაა ისეთი, ძნელად თუ გარისკავს ვინმე ჩვენიანი აიღოს ამხელა პასუხისმგებლობა, მეორე — უცხოელი მაინც უცხოელია და მას შეიძლება ის ეპატიოს, რასაც შინაურს არ შეუნდობენ. თანაც, არგუმენტი კარგი იქნება საიმისოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ხმამაღლა განვაცხადოთ — მწვრთნელთა შეცვლა კი არა, სისტემის, საერთოდ, ქვეყანაში ფეხბურთისადმი დამოკიდებულების შეცვლა-გარდაქმნაა მთავარი.

## ეროვნული ჩემპიონატების მატჩები

იხ. მე-4 გვ.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა | საქართველოს კადეტთა პირველობა

# ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი – შეჯიბრებების მასპინძლების რეზერვადაც იქცა

დიახ, როცა საქართველოს პირველობებისათვის არენდის თანხებიც აღარ მოიძებნება, ჭიდაობის მესვეურებს გლდანში ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი რჩებათ ერთ-ერთ იმედად და იქაც (დირექტორი მერაბ მეტრეველი) სულგრძელად იღებენ შეჯიბრებების მონაწილეებს. ამჯერადაც ასე იყო. ასპარეზობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 193-მა ფალავანმა მოიყარა თავი. პირველობის ჩატარების მინიმალური თანხები სპორტის დეპარტამენტმა გაიღო. აქ გამორჩეული სპორტსმენები 12-15 აგვისტოს ევროპის კადეტთა პირველობაში იასპარეზებენ დანიაში. თუმცა, ჯერ კიდევ მოსაგვარებელია შეკრებისა და თუნდაც ერთ ტურნირში მონაწილეობის საკითხი. ვარაუდობენ, რომ ჩვენი განათლების სამინისტროც თავის წვლილს შეიტანს ამ პრობლემის გადასაჭრელად.



**42 კგ.** 14 მონაწილე: 1. თემურ პაპოშვილი (რუსთ.), 2. სურაჯი გვასალია, 3. აბო ხორავა (ორივე – ხობი, ორს); **46 კგ.** 11 მონაწილე: 1. ალექსანდრე ტაბატაძე. 2. ზაქრო შოშიაშვილი. 3. ვახტანგ კახელიშვილი (სამივე – თბილისი); **50 კგ.** 16 მონაწილე: 1. თემურ ქასოშვილი (რუსთ.); 2. მალხაზ სოლომონიძე (ბათ.), 3. ტარიელ ჩადუნელი (ბორჯ. ორს), **54 კგ.** 18 მონაწილე: 1. ამბაკო ვაჩაძე (ქუთ.),2. აკაკი ჯოხაძე (გარდ.). 3. პაატა ფიცხელაური (რუსთ.); **58 კგ.** 33 მონაწილე: 1. ლაშა ლომაძე (ოზურგ.); 2. ლევან დევაძე (ბათ.), 3. ვალერი მურღულია (სენაკი); **63 კგ.** 32 მონაწილე: 1. ელიზბარ მაჭუტაძე (ბათ. ორს), 2. პაპუნა დოჩია (ხობი, ორს), 3. სერგო ონიანი (ოზურგ.); **69 კგ.** 25 მონაწილე: 1. დანტე ჭინჭარაული , 2. შალვა გაბაძე (ორივე – თბ.), 3. ვაჟა გოტიაშვილი (ქუთ.), **76 კგ.** 23 მონაწილე: 1. მამუკა ჟვანია, 2. დავით სანებლიძე (ორივე – ქუთ.), 3. მამუკა ბერაია (თბ.); **85 კგ.** 10 მონაწილე: 1. რამაზ ნოზაძე (თბ.), 2. ბერდია გერგედავა (გალი, ორს), 3. კახაბერ კალანდაძე (ოზურგ.); **100 კგ.** 11 მონაწილე: 1. რამაზ დევაძე (ბათ. ორს), 2. ვახტანგ კამლაძე (ბაღდათი, ორს), 3. მამუკა ჩაკვეტაძე (ქუთაისი).

**ლაშა ტატიკაშვილი**

# როგორც იქნა ქუთაისელები და ლაგოდეხელებიც გამოჩნდნენ

საქართველოს ჩემპიონატში საგზატკეცილო ველოსპორტში, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა, როგორც იქნა ვიხილეთ ქუთაისელი და ლაგოდეხელი სპორტსმენები. სრული შემადგენლობებით იყვნენ წარმოდგენილნი აჭარისა და თბილისის გუნდები. ასეთი შემადგენლობა კარგა ხანია არ ყოფილა რესპუბლიკურ პირველობაში, რომლის ჩატარების სპორტსმენთა და მწვრთნელთა მიღების ხარჯები, უკვე მერამდენედ, კვლავ ველოსპორტის რესპუბლიკურმა ფედერაციამ გაიღო, რაშიც უდიდესი დახმარება გაგვიწია ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის ხელმძღვანელობამ. შეჯიბრების ჩატარება ძირითადად განპირობებული იყო ორი მომენტით, უნდა შერჩეულიყო ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების კანდიდატები, რომელიც დანიაში გაიმართება და დაკომპლექტებულიყო ნაკრები ირანის დიდ საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებლად. მის დაფინანსებაში ქალაქის სპორტის სამმართველო (ვ. კანკავა) გვიწევს დახმარებას. შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა: პროგრამით 10 კმ. ინდივიდუალურ რბოლასა, 90 კმ. ჯგუფურ რბოლაში და 40 კმ. კრიტერიუმში. ამ სამი ეტაპის ჯამით უნდა გამოვლენილიყო საქართველოს ჩემპიონიც. როგორც მოსალოდნელი იყო ძირითადი ბრძოლა თბილისისა და აჭარის სპორტსმენებს შორის წარიმართა და შედეგებიც ასეთია:

***უფროსი ასაკი:*** 1. გიორგი მგელაძე (ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი, „მართვე"); 2. მიხეილ მურადოვი („მართვე"); 3. ლევან მესხიძე (ქობულეთი, „შევარდენი").

***უმცროსი ასაკი:*** ბესიკ მიქელაძე (ქობულეთი „შევარდენი"), 2. დავით ბულბულოვი (ოლიმპიური რეზერვის სასწავლ. „შევარდენი"), 3. თენგიზ თავბერიძე (ქობულეთი, „შევარდენი");

***რბოლა 10 კმ. უფროსი ასაკი:*** 1. გიორგი მგელაძე (ოლიმპიური რეზერვის სასწ. „მართვე") – 13.46; 2. მიხეილ მურადოვი („მართვე") – 14.03; 3. გია ქევხიშვილი („შევარდენი") – 14.05.

***უმცროსი ასაკი:*** 1. დავით ბულბულოვი (ოლიმპიური რეზ. სასწ. „შევარდენი") – 14.19; 2. ბესო მიქელაძე (ქობულეთი, „შევარდენი") – 14.44; 3. ნოდარ გელიტაშვილი („შევარდენი") – 15.22.

***უფრ. ასაკ. 90 კმ. ჯგ. რბოლა:*** 1. რობერტ ცხოვრებაძე; 2. მიხეილ მურადოვი (ორივე – „მართვე"); 3. ლევან მესხიძე (ქობულეთი, „შევარდენი"). მათ 2.08-ში დაფარეს მანძილი.

***უმცროსი ასაკი:*** 1. ბესო მიქელაძე (ქობულეთი, „შევარდენი"); 2. დავით ბულბულოვი (ოლიმპ. რეზერ. სასწ. „შევარდენი"); 3. თენგიზ თავბერიძე (ქობულეთი, („შევარდენი"). აჩვენეს იგივე დრო.

***კრიტერიუმი:*** 1. ჰაიკო ბეგლაროვი („შევარდენი"); 2. ლევან მესხიძე, (ქობულეთი, „შევარდენი"); 3. დათო როჰიკაშვილი („მართვე"). ***უმცროსი ასაკი.*** 1. თენგიზ თავბერიძე , 2. ბესო მიქელაძე (ორივე ქობულეთი „შევარდენი"), 3. რამაზ კავთელაძე („ოლიმპ. რეზერვ. სასწ., ლაგოდეხი).



# პოლიატლონი „მოქალაქეობას" ითხოვს

სპორტის ეს სახეობა – მრავალჭიდი უკვე მთელს მსოფლიოში გახდა პოპულარული და სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ იგი საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში მკვიდრდება და მსოფლიო „მოქალაქეობის" აღიარებას აღწევს. ამ დღეებში საერთაშორისო ასოციაციამ 2000 წლისათვის კალენდარი დაამტკიცა, წლევანდელი შეჯიბრებებისთვის ქალაქების მზადყოფნის საკითხი განიხილა და შეჯიბრების წესებში ცვლილებებიც შეიტანა თავის საგანგებო კონფერენციაზე ქ. იაროსლავლში. საგულისხმოა, რომ პოლიატლონში წლევანელი მსოფლიო ჩემპიონატი იალტაში ჩატარდება 26-28 სექტემბერს. ჩემპიონატში გამოვლენ მხოლოდ 16 წელს გადაცილებულნი, მაგრამ ასაკი ჯგუფებად დაიყოფა.

კონფერენციის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობდა საერთაშორისო ასოციაციის წევრი მ. მაისურაძე, რომელიც ამ ღონისძიებაზე მიავლინა თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ (ვ. კანკავა). – საერთაშორისო შეჯიბრებები ბევრი ტარდება, მათ შორის მსოფლიოს თასის გათამაშება თავისი ეტაპებით, მაგრამ უსახსრობის გამო ამ ღონისძიებებში ჩვენი მონაწილეობა, თვით მსოფლიო ჩემპიონატშიც კი, სათუოა – თქვა მ. მაისურაძემ.

*სურათზე: კონფერენციის მონაწილეებისთვის სემინარიც ჩატარდა.*



# მხოლოდ კვარცხლბეკი

***გურჯაანის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ჭაბუკთა შორის. 26 კგ:*** 1. შალვა რუაძე, 2. გიორგი მახარაშვილი (ორივე – გურჯაანი), 3. ლევან ჩუბინიძე (ზესტაფონი) და თემურ ჩუთლაშვილი (გურჯაანი). **29 კგ:** 1. სანდრო იაკობაშვილი (მარნეული), 2. ნიკო მეფარიძე (ქუთაისი), 3. სოსო ბერუაშვილი (ახმეტა) და აკაკი ლობჟანიძე (დედოფლისწყარო), **33 კგ:** 1. ვანო ვარდიაშვილი (გურჯაანი), 2. მიხეილ არჯახა (დმანისი), 3. დათო ბაბლუანი (მარნეული) და ირაკლი დვალი (ზესტაფონი); **36 კგ:** 1. დავით მორჩიაშვილი (ქუთაისი), 2. სერგო ციხელაშვილი (მცხეთა), 3. თემურ ნებიერიძე (ქუთაისი) და დავით ასურბანი (საგარეჯო); **40 კგ:** 1. იოსებ ფალელაშვილი (გორი), 2. გიორგი შოშიაშვილი (თბილისი), 3. გიგა წიკლაური (კასპი); **45 კგ:** 1. ლევან ყიფშიძე (თბილისი), 2. გიორგი ახლიური (კასპი), 3. დავით კუპრაშვილი (მარნეული) და გელა გელაშვილი (ქუთაისი); **50 კგ:** 1. ბადრი ბასიაშვილი (გურჯაანი), 2. შალვა უკლება, 3. გიგა მაღლაკელიძე (ორივე -ქუთაისი) და გიგა ბაიდაური (ახმეტა); **55 კგ:** 1. მიხეილ სალდაძე (ქუთაისი), 2. ჯარჯი ზვიადაური (თბილისი), 3. ლაშა ჯანხოთელი (ქუთაისი) და გოგა ნადაშვილი (გურჯაანი); **60 კგ:** 1. ბესიკ ტყემალაძე (ხაშური), 2. გიორგი დუღაშვილი, 3. ოთარ დათუაშვილი და მინდია მეზვრიშვილი (სამივე – გურჯაანი); **+60 კგ:** 1. დავით გვანცელაძე (ქუთაისი); 2. იროდი ასანიშვილი (თბილისი), 3. ალექსი ლვიხიაშვილი (თბილისი) და ტარიელ გველესიანი (წყალტუბო).

## დებიუტანტი



### სოსო ჯანელიძე

მძლეოსნობა

***დაიბადა*** 1987 წელს თბილისში.
***სიმაღლე*** 156 სმ.
***წონა*** 40 კგ.
***საქართველოს*** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ბავშვთა – მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტსკოლის აღსაზრდელი.
***მწვრთნელი*** გოგი გოზალიშვილი.
***1996-97 წლებში*** მოიგო „კოკა-კოლას" გარბენი.
***თავის ასაკში*** სხვადასხვა შეჯიბრების გამარჯვებული და პრიზიორია.

# „ოდიშის" მეშვიდე...

## კარატე

ჩვენი მოზარდებისთვის ერთ-ერთი „სპორტული თავშესაფარი" კარატეს სხვადასხვა მიმდინარეობა გახდა, სადაც მწვრთნელები თავიანთ შეგირდებს ორთაბრძოლებში ამზადებენ და ბავშვთა და მოზარდთა უამრავი სპორტული სკოლებისგან განსხვავებით მუშაობა აქ მართლა შთამბეჭდავად, რეალურად მიმდინარეობს. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის დამატებით კიდევ რამდენი ბავშვი აღმოჩნდებოდა ქუჩაში, რომ კარატეში არ ეპოვნათ თვითდამკვიდრების შესაძლებლობა.

საქართველოს შიტორიუ კარატედოს ფედერაცია ერთ-ერთი კარგად ორგანიზებული ორგანიზაციაა, რომელსაც თავისი კლუბები და სექციები ბევრგან აქვს გახსნილი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ამიტომ არის ასე მომრავლებული შეჯიბრებები, ყოველთვის რომ გამოირჩევა მასობრიობით. ამ ფედერაციის კლუბი „ოდიში", რომლის პრეზიდენტია ჯამბულ კოდუა, კლუბის ტრადიციულ პირველობებზე ყველას აძლევს ოსტატობის დემონსტრირების საშუალებას. ამ დღეებში კლუბმა VII პირველობა ჩაატარა თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის დარბაზში. დედაქალაქელთა გარდა, ასპარეზობაში ზუგდიდის, გარდაბნის, ახალციხის და საგარეჯოს მოზარდი და ახალგაზრდა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. მათ ოსტატობას კი გამოცდილი სპეციალისტები ადევნებდნენ თვალყურს.

– წლეულს ბათუმში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი და ძირითადად რჩეულთა გამოვლენა დავისახეთ მიზნად. შედეგებით უკმაყოფილო არ ვარ. ყველა ქების ღირსია, – თქვა ჯამბულ კოდუამ.

ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ ასათიანმა „ოდიშის" წევრებს ლ. კოდუას და ი. კაკალიას გადასცა იაპონიიდან მიღებული მე-2 დანის (შავი ქამარი) დიპლომები.

***1990-92 წ. დაბადებულები. მსუბუქი წონა:*** 1. დავით სამუშია, 2. კარო ავანიანი, 3. დევი კუცია (სამივე – თბილისი); ***მძიმე წონა:*** გივი სრესელი (თბილისი), 2. მიშიკო ბჟალავა (აფხაზეთი), 3. მიშიკო გალუსტაშვილი (თბილისი). ***1988-89 წ.წ. მსუბუქი წონა:*** 1. უჩა წერეთელი, 2. ალეკო წიფლაშვილი (ორივე – თბილისი), 3. დიმა თარბაია (აფხაზეთი). ***მძიმე:*** 1. გიორგი ზაზუნიშვილი, 2. ლევან გოთაძე (ორივე – თბილისი), 3. ალეკო თვალაძე (აფხაზეთი). ***1986-87 წ.წ. მსუბუქი წონა:*** 1. გიგა ჯალიაშვილი, 2. გიორგი მიქელაძე, 3. ირაკლი ლაფაჩი (სამივე-თბილისი); ***მძიმე:*** 1. დათო ავალიანი, 2. ვანო ავანიანი, 3. გიორგი სუხიშვილი (სამივე-თბილისი). ***1984-85 წ.წ. მსუბუქი წონა:*** 1. ირაკლი გულისაშვილი, 2. ლევან ძოწენიძე (ორივე – თბილისი), 3. ჭაბუკა კაკალია (ზუგდიდი); ***მძიმე:*** 1. გიორგი ხატიაშვილი, 2. გოჩა გელაშვილი, 3. ზაზა მეტონიძე (სამივე – თბილისი). ***1983 წ. დაბადებულები და უფროსები. მსუბუქი წონა:*** 1. გუჯა გუგუჩია, 2. გიორგი ჯოხაძე, 3. შოთა წიკლაური (სამივე-თბილისი). ***მძიმე:*** 1. კვირია ზვიადაური (თეთრიწყარო), 2. ლევან ამირეჯიბი (გარდაბანი), 3. გენადი ხანიანი (თბილისი). ***გოგონები. მსუბუქი წონა:*** 1. ნინო ლონდრიშვილი, 2. ნინო კახელიშვილი, 3. ნინო ნინოშვილი (სამივე – თბილისი); ***მძიმე:*** 1. ხათუნა გავაშელაშვილი, 2. თათია კახელიშვილი, 3. ირინე გზირიშვილი (სამივე – თბილისი).

**ც. ბაქრაძე**





საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში (II წრე)

# პირველი ჯგუფი XXV ტური

## ლოკომოტივი (თბილისი) – სამგურალი (წყალტუბო) 2-0

**ლოკომოტივი:** დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, არჩვაძე, დ. მუჯირი, ბაქრაძე, კაციაშვილი, მელქაძე, წივწივაძე (ხუჯაძე, 46), დ. გოდერძიშვილი (ვ. ცილასონია, 46), გოგობერიშვილი.
**სამგურალი:** ბობოხიძე, მახვილაძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე (დარსაძე, 46), კოსკანოვი (გლუნჩაძე, 46), გიორგობიანი, აფციაური, ჯავახაძე, პეტრიაშივილი, სუხიაშვილი, გ. შენგელია.
**გოლები:** გოგობერიშვილი (9), წივწივაძე (43).
**გააფრთხილეს:** ჩიხრაძე.
**მსაჯი:** ალექსანდრე მეშკოვი (თბილისი)

პირდაპირ ვიტყვით – „სამგურალმა" ვერ აჩვენა ის თამაში, რაც თასის ფინალისტს ეკადრება. თუმცა ტიპიურად სათასო გუნდს ასეთი რამ სჩვევია და ალბათ 26 მაისს სულ სხვა კოლექტივს ვიხილავთ ეროვნულ სტადიონზე. „ლოკომოტივმა" კი კარგ შემტევ სტილში გაიმარჯვა.

რკინიგზელთა გუნდის სულისჩამდგმელი ალეკო გოგობერიშვილი გახლდათ. გასაკვირია, თუ კვლავ რატომ არ ეპატიჟებიან ამ უდავოდ ნიჭიერ ფეხბურთელს ახალგაზრდულ ნაკრებში, ფეხბურთელს, რომელიც ჩვენ ერთ-ერთ წამყვან კლუბში მეორე წრიდან თამაშობს და მის ლიდერადაც იქცა.

„ლოკომოტივის" დიდი ანგარიშით გამარჯვება მატჩის ყველაზე ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ როგორც წესი, თემურ მახარაძის ბიჭებს საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი პროცენტი აქვთ. უფრო მეტი მოეთხოვება დავით მუჯირს, რომელმაც ვერა და ვერ აღიდგინა სათანადო სპორტული ფორმა – უმცროსი მუჯირი ხომ IX ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. თბილისელთა რევანშს იმერლებზე, რადაც ხიბლი მაინც აკლდა, მცირერიცხოვანი მაყურებელი უფრო შეუპოვარ და საინტერესო ბრძოლას მოელოდა. სტუმართა თამაშს კი მხოლოდ მამუკა აფციაურის არაორდინარული ქმედებანი თუ ანიჭებდა რაღაც პეწს.

... რახან ხიბლი და პეწი ვახსენეთ, „ლოკომოტივის" მეორე გოლზეც უნდა ვთქვათ – გოგობერიშვილის პასს წივწივაძე ერთი შეხებით გამოეხმაურა და ოსტატურად მოათავსა ბურთი ბობოხიძის კარში.

დათო თავართქილაძე

## ქართველებზე უცხოურ პრესაში

# ლეგიონერი ვასო სეფაშვილი



მალე ერთი წელი შესრულდება, რაც ნალჩიკის „სპარტაკს" ახალი ლეგიონერი ვასო სეფაშვილი მოევლინა. ყოფილმა თბილისის დინამოელმა, ჩვენს კლუბში 1994 წელს არც თუ დიდხანს ითამაშა, შემდეგ თელავშია, იქ მიიღო მიწვევა ტოლიატიდან. 1995 წელს ტოლიატები გადავიდნენ უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ერთი საფეხბურთო სეზონის შემდეგ, ისევ პირველს დაუბრუნდნენ. ამის მერე სოსო სეფიაშვილი ნიჟნიკამენსკის „ნეფტიანიკში" იყო, საიდანაც, ბოლოს და ბოლოს, ნალჩიკში აღმოჩნდა. როგორც ვთქვით, ეს იყო შარშან. ქართველმა ლეგიონერმა უმალვე მოიპოვა საუკეთესო ფეხბურთელის იმიჯი – მეორე წრეში გუნდში ბომბარდირი გახდა, ბევრი გოლი გაჰქონდა ამხანაგურ თუ საკონტროლო შეხვედრებშიც. მიმდინარე ჩემპიონატში ვასო კვლავ გამოირჩევა შედეგიანობით, რის გამო კლუბის ხელმძღვანელობის და გულშემატკივრების განსაკუთრებული ყურადღებითაა გარემოსილი. წლეულს ქართველმა ბომბარდირმა, ბოლო სამ მატჩში, უკვე 5 გოლი გაიტანა და პირველ ლიგაში ლიდერობს ბომბარდირთა სიას. აქედან ორი ბურთი თავით შეაგდო, თითო მარჯვენა და მარცხენა ფეხით, ერთიც... მკერდით.

– ჩემთვის სულ ერთია როგორ გავიტან, მთავარია, ბურთი მეტოქის კარში აღმოჩნდეს, ღმერთი მწყალობს და გოლებიც გამაქვს – ამბობს ვასო სეფაშვილი.

ამას წინათ, კლუბის ხელმძღვანელობის თხოვნით, ვასომ ოჯახი ნალჩიკში გადაიყვანა, რისთვისაც მას ქალაქის ცენტრში დაუქირავეს ბინა. ახლა, როცა მეუღლე და შვილი გვერდით ჰყავს, როგორც თავად ამბობს, უფრო მშვიდადაა და ცოლშვილს გატანილი გოლების ასისტენტებად მიიჩნევს. ჟურნალისტის შეკითხვაზე დროა 29 წლის ფეხბურთელი მომავალზეც დაფიქრდეს, ქართველი ლეგიონერი პასუხობს: „გულახდილად გეტყვით: ასაკოვნად არ ვთვლი ჩემს თავს. საერთოდ, ფეხბურთელად თავი 25 წლისამ ვიგრძენი. მანამდე სუსტი ვიყავი ფიზიკურად და არ შემეძლო მინდორზე სრული მოცულობის დატვირთვით მემუშავა. ვფიქრობ, შევძლებ 5 წელიწადი კიდევ ვითამაშო სასურველ დონეზე".

გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" მიხედვით.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – მერანი-91 (თბილისი) 1-0**
**ვიტ-ჯორჯია:** ჰურაძე, ჰანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ჯ. მუჯირი, კ. ალადაშვილი, ზ. გვაზავა, ვ. გოჩაშვილი (ბოკერია, 89), გიორგი ქორიძე, დოლიძე, მაზიაშვილი (ნოზაძე, 70).
**მერანი-91:** ლომაია, ჰელიძე (ე. ალადაშვილი, 46), ასპინძელაშვილი, ზ. ამბიძე, ჰინჰარაული, გელა ქორიძე, დავითაშვილი, ჯიშკარიანი (ბაჯელიძე, 84), თოლორდავა, ჩუხუა, ხუციშვილი.
**გოლი:** გიორგი ქორიძე (26, პენ)
**გააძევეს:** ხუციშვილი (36).
**მსაჯი:** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

**კოლხეთი-1913 (ფოთი) – თსუ (თბილისი) 2-0**
**კოლხეთი-1913:** ნ. გვასალია, გოროზია (ამაშუკელი, 38), ტორჩინავა, გიორგაძე, ანჯაფარიძე, ტრაპაიძე, ჩადუნელი, კალანდაძე, ე. გვასალია, შავგულიძე (ბულუხია, 55), მ. ქობულაძე.
**თსუ:** გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ვ. ღუდუშაური, ნინუა (ინწკირველი, 38), მაღრაძე, დ. გოგოლაძე (ბუკია, 85), ჰუმბურიძე, როსტიაშვილი (გონჩაროვი, 79).
**გოლები:** ქობულაძე (75), ბულუხია (89).
**გააფრთხილეს:** შავგულიძე, ინწკირველი, ბულუხია.
**მსაჯი:** სოსო კახიანი (თბილისი).

**ტორპედო (ქუთაისი) – დილა (გორი) 3-0**
**ტორპედო:** ჰანტურია (სტურუა, 32), ახვლედიანი (მაზანაშვილი, 75), ჩხეტიანი, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, თურმანიძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, ვაჩიბერაძე, (იმედაძე, 58).
**დილა:** სოლოლაშვილი, ფაზუაშვილი, რ. ხაჰაპურიძე, გუდურაშვილი (მ. მინდიაშვილი, 69), აკოფიანი, გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, ლომიძე, ხიზანაშვილი, ლ. გოჩაშვილი.
**გოლები:** მეგრელაძე (4,75), ჯანაშია (81).
**გააფრთხილეს:** გუდურაშვილი.
**მსაჯი:** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

**იბერია (სამტრედია) – დინამო (თბილისი) 0-1**
**იბერია:** დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, თოდუა, ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე, ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ვარდიაშვილი, 66), ფილიპაშვილი.
**დინამო:** გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა (ჰინჰარაძე, 62), მაჰავარიანი, ა. სახვაძე, ა. მუჯირი (ქებაძე, 78). ალექსიძე, წიტაიშვილი (ჩომახიძე, 66), აშვეთია, გუჩუა.
**გოლი:** სახვაძე (324).
**გააფრთხილეს:** ს. მაჰავარიანი.
**მსაჯი:** თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

**დინამო (ბათუმი) – გორდა (რუსთავი) 1-1**
**დინამო:** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჰინავა, მინდაძე, ღლონტი (აფხაზავა, 58), მ. მახარაძე, ჰიჰეიშვილი, კანტიძე (თორღაშვილი, 80), გადელია, რუსია (რომანიძე,84).
**გორდა:** ბედიაშვილი, მჰედლიძე, ბეჟაური, სიდამონიძე, გაბელაია, ინასარიძე, ჩიგოშვილი, ზირაქაძე, კიტეიშვილი (პ. მესხი, 83), პატარიძე, ლ. ალადაშვილი (ზ. ლაბაძე, 77).
**გოლები:** რუსია (10), ალადაშვილი (41).
**გააფრთხილეს:** ბეჟაური
**მსაჯი:** ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

**გურია (ლანჩხუთი) – არსენალი (თბილისი) 0-2**
**გურია:** ნიკურაძე, მაჩიტაძე, ფირცხალაიშვილი, შ. მახარაძე, სვანიძე, ჰიაბრიშვილი, შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. მახარაძე (სულაქველიძე, 46), ძოძუაშვილი, ბერძენიშვილი.
**არსენალი:** კუპატაძე, ცოტაძე, აბაზაძე, გაგუა, ყოლბაია, მ. მაისურაძე (კოხრეიძე, 78), ზირაქიშვილი, ხოსროშვილი, ამირიძე, კაკაშვილი (ყუფარაძე, 85), ტარიელაშვილი (თვალაბეიშვილი, 86).
**გოლები:** ტარიელაშვილი (19), ზირაქიშვილი (38).
**გააფრთხილეს:** ბერძენიშვილი, ხოსროშვილი.
**მსაჯი:** ავთანდილ ორდანიძე (ონი).

**ოდიში (ზუგდიდი) – სიონი (ბოლნისი) 1-4**
**ოდიში:** ნაყოფია, გაბისონია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე, კაკულია, აკობია, იოსავა (ჰედია, 62), კუტალია, მარკოზია, გოგოხია, გვიჩია.
**სიონი:** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანიძე, ლ. გაგუა (დ. ჯაფარიძე, 69), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ხიდაშელი, 67), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი.
**გოლები:** მოსეშვილი (33,69), გაგუა (41), გოგოლაძე (60), ჰედია (88).
**გააფრთხილეს:** გაბისონია, აფაქიძე, კუტალია, მ. სამხარაძე.
**გააძევეს:** აფაქიძე (62).
**მსაჯი:** ალექსანდრე კრიჰაშვილი (თბილისი, მეორე ტაიმს ქუთაისელი პაატა დოგრაშვილი სჯიდა.

# SOS

## *ეროვნული ჩემპიონატის ღირსება კიდევ ერთხელ გაითელა, როდემდე?*

*ზუგდიდში ამ მატჩს მეტოქეებისთვის „ყოფნა-არყოფნის" მნიშვნელობა ჰქონდა და აქედან გამომდინარე, ცხადია, გარკვეული ვნებათაღელვაც იყო მოსალოდნელი. გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ორივე გუნდს ძალიან უნდოდა ამ მატჩის მოგება და, ალბათ, თავის შენარჩუნებაც ყველაზე პრესტიჟულ ლიგაში, მაგრამ ამ ქვეყნად, პატიოსანი ბრძოლის პრინციპებიც ხომ არსებობს. ჩვენი გასარჩევი არ არის მტყუან-მართალი, მაგრამ თუნდაც მსაჯი შემცდარიყო, განა ფეხბურთელებს ჰქონდათ იმისი უფლება, რომ იგი ფეხქვეშ გაეგდოთ და დაუნდობლად ეცემათ?*

*ყველაფერი პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა. მაშინ, როცა შესვენებამდე სულ რაღაც ორიოდე წუთი რჩებოდა და ოდიშელთა კარში ბოლნისელებმა მეორე გოლი გაიტანეს, მსაჯობით უკმაყოფილო მასპინძელთა გუნდის ფეხბურთელებმა დებოში ატეხეს. მიზანში გვერდითი მსაჯი და არბიტრი ამოიღეს. აფაქიძემ გვერდით მსაჯს დოგრაშვილს დაარტყა, რის გამო ამ ფეხბურთელს მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა. ამის შემდეგ შეტევის ობიექტად თვით კრიჰაშვილი გადაიქცა. ურტყამდნენ დაუნდობლად, სისხლიც სდიოდა ფეხიდან, მაგრამ ესეც არ აკმარეს და ერთმა წიხლი საზარდულშიც უთავაზა. ფორმიანებს რომ არ ეყოჩაღათ ნამდვილი ტრაგედია დატრიალდებოდა. განსაკუთრებით მეკარე ნაყოფია აქტიურობდა. ყველაზე საოცარი ისაა, რომ ფეხბურთელებს, ვიღაც იმ სკამიდანაც წამოეშველა, რომელიც მხოლოდ მწვრთნელებისთვის, ექიმისთვის და მასაჟისტისთვისაა განკუთვნილი. რაღა თქმა უნდა, მატჩი შეწყდა. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, კრიჰაშვილმა განაახლა თამაში და როგორც იქნა, ტაიმი დასასრულამდე მიიყვანა. თუმცა, ნაცემმა მეორე ტაიმში მინდორზე გამოსვლა ველარ შეძლო და არბიტრობა დოგრაშვილმა ითავა, გვერდით ხაზზე კი მისი ადგილი სადათადარიგო მსაჯმა გიორგაძემ დაიკავა. სამწუხაროდ, მერე გიორგაძესაც მოხვდა თავში ცემენტის ბათქაშის ნაჭერი.*

*ასეთი სავალალო იყო ვითარება იმ დღეს ზუგდიდის სტადიონზე. მატჩის კომისარმა მალხაზ ლაცაბიძემ თბილისში დაბრუნებისთანავე მოახსენა ფედერაციის სამსაჯო კომიტეტს ყველაფერი. დაწვრილებით მოახსენა, ესაუბრნენ კრიჰაშვილსაც. დაისვა საკითხი, რომ ვიდრე ფედერაციის შესაბამისი კომიტეტი ამ ფაქტზე იმსჯელებს და სანქციას გამოიტანს, სისხლის სამართლის საქმე აღძრას საფეხბურთო მოედანზე ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ.*

*საავენტო „გუმათი"*

## ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯაჯანაძე

# დიდი ქართველი



ალბათ ბევრმა არ იცის, ქართული ვოკალის მშვენება საოპერო ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი დავით ბადრიძე ერთ-ერთი იმ თვალსაჩინო მამულიშვილთაგანია, რომელმაც ღირსეული კვალი დაამჩნია ჩვენი ერის მდიდარ კულტურულ ცხოვრებას, შესანიშნავი სპორტსმენიც გახლდათ.

იგი ძალიან ადრე, სკოლის მერხიდან ეზიარა სპორტს, ბოლომდე გაჰყვა მისი სიყვარული.

ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ფიზკულტურის მასწავლებლად ჩეხი „სოკოლელი" ბლაჟეკი მოიწვიეს. ამ ღვთისნიერმა კაცმა საქმის ღრმა ცოდნით და მაღალზნეობრივი ადამიანური პრინციპებით, როგორც შეგირდების, ისე მთელი ქუთაისელების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. დავით ბადრიძე და მისი მეგობრები ყოველდღიურ წვრთნასა და ვარჯიშში ეუფლებოდნენ ტანვარჯიშის საიდუმლოებას და ხვეწდნენ ოსტატობას.

სამწუხაროდ, სასწავლებლის სპორტული ცხოვრება ჩრდილში მოექცა მას შემდეგ, როცა 1914 წელს საზაფხულო არდადაგებზე, ბლაჟეკი სამშობლოში დაბრუნდა, მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ჩეხი პედაგოგი სამუდამოდ გამოეთხოვა ქუთაისს. ჩაკვდა სასწავლებლის სპორტული ცხოვრება. იმავე წლის შემოდგომაზე დირექციამ, როგორც გამოცდილ და მაღალი კლასის ტანმოვარჯიშეს, სპორტული დარბაზის გასაღები დავით ბადრიძეს ჩააბარა. 15 წლის ყმაწვილისათვის ეს დიდი პატივი იყო. 1916 წელს დავით ბადრიძემ და მისმა გიმნაზიელებმა სასწავლებლის ბაზაზე ქალაქში ერთ-ერთი პირველი ფეხბურთის გუნდი ჩამოაყალიბეს „თერგის" სახელწოდებით. გუნდი აწყობდა საქალაქთაშორისო შეხვედრებს დასავლეთ საქართველოში და ქალაქში პროპაგანდას უწევდნენ სპორტის ახალ სახეობას.

1919 წლის 5 ოქტომბერს ქუთაისში პირველად ჩამოყალიბდა ტანვარჯიშელი საზოგადოება „შევარდენი". მისი პირველი წევრები იყვნენ დავით და კონსტანტინე ბადრიძეები, ლელიკო ხოტივარი, ნიკოლოზ სანიშვილი, კოლია ქვარიანი, გეგუ ჩიქოვანი და სხვები, შევარდნელებმა ღირსეული კვალი დაამჩნიეს 20-იანი წლების ქუთაისის სპორტულ ცხოვრებას.

1920 წელს სწავლას მოწყურებულმა დავით ბადრიძემ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტს მიაშურა და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. „შევარდენთან" კი არ გაუწყვეტია ურთიერთობა და პოპულარული პედაგოგის გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით განაგრძობდა წვრთნას.

რაც შეეხება დავით ბადრიძის პირველ ვოკალურ მონაცემებს, იგი გიმნაზიის წლებთანაა დაკავშირებული. ერთხელ თანაკლასელის დაბადების დღეზე მან რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა შეასრულა და მეგობრები აღაფრთოვანა მისმა ტკბილმა ხმამ.

უფრო გვიან, მუსიკის დიდმა სიყვარულმა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი კონსერვატორიაში მიიყვანა. ეს მოხდა 1920 წელს.

მოგეხსენებათ, მომღერლისათვის დებიუტი საოპერო სცენაზე დიდ ვნებათაღელვასთანაა დაკავშირებული. როცა 1925 წელს, ვერდის ოპერა „რიგოლეტოში" ფართო აუდიტორიისათვის სრულიად უცნობმა ქუთაისელმა ჭაბუკმა ბრწყინვალედ გაართვა თავი რთულ სადებიუტო პარტიას, ოვაციებისაგან თეატრის შენობა ზანზარებდა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი თანაქალაქელი ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, რომელსაც ფართო აღიარება და საყოველთაო პატივისცემა სასცენო დებიუტიდანვე დაჰყვა. გადმოგვცემენ, რომ 1926 წელს თბილისში სტუმრად მყოფ სახელოვან ხელოვან სერგეი ლემეშევს, როცა „რიგოლეტოში" ჰერცოგის პარტიაში მომღერალი დავით ბადრიძე უხილავს, აღფრთოვანება ვერ დაუფარავს.

ნიჭიერი შემოქმედის წინაშე ნათელი პერსპექტივა გადაიშალა, თუმცა კარგად იცოდა, რომ მწირი რეპერტუარით შორს ვერ წავიდოდა და ამიტომ დროებით სვერდლოვსკის საოპერო თეატრის სცენაზე გადაინაცვლა. ორწლიანი შემოქმედებითი ძიების შემდეგ ისევ თბილისს დაუბრუნდა და არაჩვეულებრივი ხმის ტემბრით ატკბობდა მსმენელს. შემდეგ იყო მოსკოვის დიდი თეატრი, სსრ კავშირის სახელმწიფო ფილარმონია, გასტროლები უკიდეგანო საბჭოთის სხვადასხვა ქალაქში. ერთხელ მიხეილ ჭიაურელს სტალინისთვის გულისტკივილით უთქვამს, რომ დავით ბადრიძე მოსკოვში მოღვაწეობდა და არა საქართველოში. – არ შეეხოთ ბადრიძეს, ის დიდ საქმეს აკეთებს და მთელ საბჭოთა კავშირს აცნობს საქართველოს კულტურას – უთქვამს სტალინს.

შემდეგ იგი მაინც დაბრუნდა თბილისში და ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სახელმწიფო კონსერვატორიაში, როგორც პროფესორი და არაერთი სახელოვანი ვოკალისტი აღუზარდა საოპერო ხელოვნებას. მოღვაწეობდა კორეის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიეტნამში, ეგვიპტეში. კინოფილმ „ჯურღაის ფარში" შესრულებული როლისთვის კი სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ამ დღეებში დიდი ქართველის დავით ბადრიძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

იბეჭდება შემოკლებით

## XXV ტურის სტატისტიკა

● ტურის **„მოვლენად"** შეიძლება ჩაითვალოს მატჩი ზუგდიდში, სადაც მატჩის პირველ ნახევარს სჯიდა თბილისელი მსაჯი კრიჰაშვილი, ხოლო მეორე ნახევარს კი დოგრაშვილი.

● ტურის **„მიღწევად"** ითვლება:
1. რუსთავის „გორდას" ფრე ბათუმში (1:1) ეს რუსთაველთა პირველი გატანილი გოლია მეორე წრეში სტუმრად ჩატარებულ მატჩებში.
2. ბოლნისის „სიონის" გამარჯვება სტუმრად. ეს მეორე წრეში ბოლნისელთა პირველი გამარჯვებაა სტუმრად და თანაც დიდი ანგარიშით.
3. ლანჩხუთის „გურიის" ზედიზედ მე-8 მარცხი.

● ტურის 8 მატჩში გატანილია 18 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 2,2 გოლი).
პირველ ნახევარში გატანილია 11 ბურთი, მეორეში კი – 7.

● მასპინძლებმა გაიმარჯვეს 4 შეხვედრაში, ფრედ დამთავრდა ერთი მატჩი, ხოლო სტუმრებმა გაიმარჯვეს 3 შეხვედრაში.

● ორი მატჩი დამთავრდა, 2 დიდი ანგარიშით („ტორპედო" და „სიონი") ჩემპიონატის დაწყებიდან სულ დაფიქსირდა 42 დიდი ანგარიშით მოგება. (ამ მხრივ ლიდერობენ: „დინამო" თბ. – 10; „ტორპედო" – 7; „კოლხეთი-1913" – 6).

● ტურში „მშრალად" შეინახეს თავიანთი კარი მეკარეებმა: კუპატაძემ („არსენალი") – პირველად; გვასალიამ („კოლხეთი-1913") – 3-ჯერ; დოლაბერიძემ („ლოკომოტივი") – 4-ჯერ; ჰანტურიამ („ტორპედო") – 6-ჯერ; ჰურაძემ („ვიტ-ჯორჯია") – 11-ჯერ; გვარამაძემ („დინამო" თბ.) – 12-ჯერ.

● ტურში დაინიშნა ერთი „პენალტი". სულ ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 63 „პენალტი" (რეალიზებულია 52).

● „დუბლი" შეასრულა 2 ფეხბურთელმა (მეგრელაძე – „ტორპედო" და მოსეშვილი – „სიონი").
სულ ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირდა 59 „დუბლი".

● ტურში 2 ფეხბურთელი გააძევეს, ხოლო 16 გააფრთხილეს ყველაზე „უხეში" მატჩი: „ოდიში" – „სიონი", სადაც 1 ფეხბურთელი გააძევეს და 4 გააფრთხილეს.

● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო"თბ) – 20
ზ. იონანიძე („ტორპედო") – 15
ლ. ხომერიკი („დინამო" ბთ.) – 14
დ. მახარაძე („გურია") – 14
ჰ. წივწივაძე („ლოკომოტივი") – 13
დ. ჯანაშია („ტორპედო") – 12
გ. მეგრელაძე („ტორპედო") – 12
ე. გვასალია („კოლხეთი") – 12
რ. ალექსიძე („დინამო" თბ.) – 11
ზ. ზირაქიშვილი („არსენალი") – 10

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი სოფ. ფშაფი.

ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ევროპული ჩემპიონატები

### ინგლისი. XXXVI ტური

მანჩესტერი — ასტონ ვილა 2-1, ჩელსი — ევერტონი 3-1, ჩარლტონი — ბლეკბერნი 0-0, ვესტ ჰემი — ლიდსი 1-5, არსენალი — დერბი 1-0, ნოტინგემი — შეფილდი 2-0, საუთჰემპტონი — ლესტერი 2-1, ქოვენთრი — უიმბლდონი 2-1, ლივერპული — ტოტენჰემი 3-2, ნიუკასლი — მიდლსბრო 1-1 (თემურ ქეცბაია შეცვლაზე მეორე ტაიმში შემოვიდა).

***ლიდერობენ:*** არსენალი (72), მანჩესტერი (71), ჩელსი (68), ნიუკასლი კი 45 ქულით მე-12 ადგილზეა.

### გერმანია. XXIX ტური

ბაიერნი — მიონხენგლადბახი 4-2, ვოლფსბურგი — შტუტგარტი 3-2, დუისბურგი — დორტმუნდი 3-2, ბოხუმი - ნიურნბერგი 0-3, ჰამბურგი — კაიზერსლაუტერნი 2-0, ლევერკუზენი - ჰერტა 2-2, ჰანზა — მიუნხენ 1860 4-1, ფრაიბურგი — აინტრახტი 2-0 (ლევან ცქიტიშვილმა დ ლევან კობიაშვილმა შეუცვლელად ითამაშეს, ამასთან, კობიაშვილმა სტუმართა კარგი გოლიც გაიტანა, ვერდერი — შალკე (გადაიდო)

***ლიდერობენ:*** ბაიერნი (68), ლევერკუზენი (58), ჰერტა (49), ფრაიბურგი კი 33 ქულით მე-12 ადგილზეა.

### იტალია. XXXI ტური

ბარი — პიაჩენცა 3-1, სალერნიტანა — იუვენტუსი 1-0, ბოლონია — კალიარი 1-3, პარმა — ემპოლი 1-0, ვენეცია — ვიჩენცა 1-2, უდინეზე — ლაციო 0-3, მილანი — სამპდორია 3-2, ფიორენტინა — პერუჯა 5-1.

***ლიდერობენ:*** ლაციო (62), მილანი (61), ფიორენტინა (54).

### ესპანეთი. XXXII ტური

რეალი — ესპანიოლი 2-0, ბარსელონა — დეპორტივო 4-0, ატლეტიკი — ატლეტიკო 1-2, ესტრემადურა — სოსიედადი 1-0, ვალიადოლიდი — ვილიარეალი 1-0, ვალენსია — ალავესი 5-0, სარაგოსა — ტენერიფე 3-1, ბეტისი — მალიორკა 1-3, რასინგი — ოვიედო 0-0, სელტა — სალამანკა 1-0.

***ლიდერობენ:*** ბარსელონა (66), სელტა (57), მალიორკა (57).

### საფრანგეთი. XXXI ტური

მარსელი — ლიონი 0-0, ბორდო-მონაკო 0-1, ტულუზი — ლორიანი 1-4, რენი — პსჟ. 2-1, მონპელიე — ნანტი 1-2, მეცი — ოსერი 2-0, ბასტია — ლანსი 1-1, ლე ავრი — ნანსი 1-1, სტრასბური — სოში 1-1.

***ლიდერობენ:*** მარსელი (65), ბორდო (63), ლიონი (57).

### ჰოლანდია. XXXI ტური

მაასტრიხტი — ბრედა 3-3 (სტუმართაგან ერთი გოლი არჩილ არველაძემ გაიტანა), აიაქსი — ფეიენოორდი 6-0 (მასპინძელთაგან ერთი გოლი შოთა არველაძემ გაიტანა), ეინდხოვენი — ვაალვაიკი 2-2, ვიტესი — ალკმაარი 0-1, სპარტა — ტილბურგი 0-4, ნაიმეგენი — უტრეხტი 0-1, ტვენტე — სიტარდი 2-2, რიტა — გრააფსხაფი 3-1, კამბური — ჰერენვენი 0-0.

***ლიდერობენ:*** ფეიენოორდი (71), ტილბურგი (59), ვიტესი (55), აიაქსი 50 ქულით მე-7 ადგილზეა, ხოლო ბრედა 18 ქულით — ბოლოზე.

### შოტლანდია. XXXIII ტური

სელტიკი — გლაზგო რეინჯერსი 0-3 (ამ მოგებით სტუმრები ვადაზე ადრე გახდნენ ჩემპიონები), დანდი იუნაიტედი-დანდი 0-2, აბერდინი — სენტ ჯონსტონი 1-0, კილმარნოკი — მოზერველი 0-1.

***ლიდერობენ:*** გლაზგო რეინჯერსი (69), სელტიკი (62), კილმარნოკი (53).

### პორტუგალია. XXX ტური

ბენფიკა — კამპომაიორენსე 1-1, ბრაგა-შავეში 1-0, ბოავიშტა — ამადორა 2-1, გიმარაეში — ბეირა მარი 3-0, ლეირია — სპორტინგი 0-3, პორტო-სეტუბალი 6-0, სალგეირეში — აკადემიკა 1-1, ალვერკა — რიუ ავე 0-1, მარიტიმუ — ფარენსე 1-3.

***ლიდერობენ:*** პორტო (69), ბოავიშტა (64), ბენფიკა (58).

### შვეიცარია (ფინალური ეტაპის IX ტური)

გრასჰოპერსი — სენტ-გალენი 4-0 (მასპინძელთაგან 2 გოლი მიხეილ ყაველაშვილმა გაიტანა, ქსამაქსი — ციურიხი 1-3, ლოზანა — ბაზელი 3-0, სერვეტი — ლუცერნი 1-0.

***ლიდერობენ:*** გრასჰოპერსი (39), სერვეტი (38), ლოზანა (37).

### ბელგია. XXXI ტური

ლიერსი — ლოკერენი 2-3, სტანდარდი — ანდერლეხტი 0-6, შარლერუა — ბრიუგე 1-2, გენკი — სენტ-ტრიუდენი 4-1, ბევერენი — ვესტერლო 0-1, აალსტი — მუსკრონი 1-4, კორტრაიკი — ეკერენი 1-2, ოსტენდე — ჰარელბეკი 1-0, მენტი — ლიმელი 2-2.

***ლიდერობენ:*** გენკი (67), ბრიუგე (65), მუსკრონი (61), გელა შეყილაძის ლიერსი კი 45 ქულით მე-9 ადგილზეა.

### რუსეთი. V ტური

სპარტაკი — ჩერნომორეცი 2-0, ცსკა — ზენიტი 2-2, ტორპედო — ალანია 1-1, სატურნი — დინამო 3-3, როტორი — შინიკი 2-0, როსტსელმაში — ურალანი 2-0, ლოკომოტივი (ნ. ნოვგოროდი) — კრილია სოვეტოვი 3-0, ჟემჩუჟინა — ლოკომოტივი (მოსკოვი) 1-4 (მასპინძელთაგან გაიძევეს გოჩა გოგრიჭიანი).

***ლიდერობენ:*** სპარტაკი (18), დინამო (13), ტორპედო (13).

### ავსტრია. XXXI ტური

რაპიდი — ტიროლი 1-1, რიდი — შტურმი 0-3, გრაცერი-ლინტერი 2-1, შტაირი — ლეშტენაუ 2-0, ზალცბურგი — ავსტრია 3-0.

***ლიდერობენ:*** რაპიდი (64), შტურმი (63), გრაცერი (56).

# ლიდერებმა ძალიან უკლეს, მაგრამ...

## საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

ჩემპიონთა ლიგის მორიგ, საგრძნობლად რეფორმირებულ გათამაშებაში სამი ფრანგული კლუბი მიიღებს მონაწილეობას. ორი მათგანის სახელი კარგა ხანია ცნობილია. მარსელის „ოლიმპიკმა" და „ბორდომ" ჯერ შორს ჩამოიტოვეს დანარჩენი მეტოქეები, იმდენად, რომ ჩემპიონობა ან ერთს უნდა დარჩენოდა, ან მეორეს, შემდეგ კი ერთმანეთთან დავაში მეტად განერვიულდნენ და ბევრი გაუთვალისწინებელი ქულა დაკარგეს. აი, ვის დარჩება მესამე ადგილი, ამის შესახებ ჯერჯერობით ძნელია ლაპარაკი...

XXX ტურის წინ „ოლიმპიკს" 64 ქულა ჰქონდა და ერთი ქულით უსწრებდა მეტოქეს. აი, რაც ამ ტურში მოხდა, ამის ახსნა კი ძნელია. ლიდერს მატჩი ჰქონდა ლანსში. გავიხსენოთ, რომ ამ პატარა ქალაქის გუნდი შარშან პირდაპირ სენსაციურად გახდა საფრანგეთის ჩემპიონი, ამ პირველობას კი უფერულად ატარებს და თავის წოდებას ფაქტობრივად უკვე კარგა ხანია გამოეთხოვა. „ლინსისათვის" მესამე ადგილიც, რომელიც ძალიან ძვირად ფასობს, სანატრელი გახდა, აი, როგორც იტყვიან, „უეფას ზონაში" მოხვედრის შესაძლებლობა კი ჯერ კიდევ აქვს. ლიდერთან შეხვედრა ყოფილი ჩემპიონებისათვის ძალიან გამადიზიანებელი აღმოჩნდა. „ოლიმპიკის" მოთამაშეები, უეფას თასის ფინალისტები, ამ შეხვედრისათვის ფსიქოლოგიურად მზად არ აღმოჩნდნენ და უსასტიკესი მარცხი 0-4 იგემეს. ორ-ორი გოლი გაიტანეს ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ვერელმა (მას ახლანდელი ხელმძღვანელობა არა სწყალობს) და მორეირამ კიდევ უფრო მოულოდნელი მაინც „ბორდოს" მარცხი იყო. იგი შეხვდა ერთ დროს საკმაოდ ძლიერ, ახლა კი უკანასკნელ, მეთვრამეტე ადგილზე მყოფ და მეორე დივიზიონში გასავარდნად განწირულ „სოშოს" და წააგო 0-2. ერთი სიტყვით, XXX ტურში ლიდერი არ შეცვლილა.

XXXI ტური ორ ნაწილად გაიყო. ლიდერებმა პარასკევს ითამაშეს, ყველა დანარჩენმა კი შაბათს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩს მარსელის „ველოდრომზე", სადაც ლიდერი „ოლიმპიკი" „ლიონს" შეხვდა. „ლიონი" ახლა მესამე ადგილზეა, მას მდევრებიც საკმაოდ ჰყავს, ამიტომ მეტად შეუპოვრად იბრძვის. რაც შეეხება „ოლიმპიკს", მას რაღაც გამართლება სჭირდებოდა წინა ტურში განცდილი სამარცხვინო დამარცხების გამო. 0-0 — ასეთი იყო ამ მატჩის შედეგი, რომელიც საბოლოო ანგარიშით მასპინძლებისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა, რადგან „ბორდომ" ამ ტურში შინ წააგო „მონაკოსთან" 0-1, რომელიც მესამე ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობას ინარჩუნებს. „ოლიმპიკს" ახლა 65 ქულა აქვს, „ბორდოს" — 63. მთელი მეორე წრე ხან ერთი იყო წინ ერთი ქულის უპირატესობით, ხან — მეორე, ახლა კი მარსელელების უპირატესობა ოდნავ გაიზარდა. მწვრთნელი როლან კურბისიც უკეთ გრძნობს თავს და კლუბშიც ხანგრძლივი დროით აპირებს დარჩენას. მართალია, მას ის უფუჭებს ხასიათს, რომ „ოლიმპიკის" წამყვან მოთამაშეებს სხვადასხვა წამყვანმა კლუბმა დაადგა თვალი. ასე, მაგალითად, ფაბრიციო რავანელის, კარგა ხანს იტალიის საზღვრებს გარეთ ხეტიალის შემდეგ ეპატიჟება, „ფიორენტინა" და თითქოს „ჭალარაც" წინააღმდეგი არ არის.



რავანელიმ თავისი გოლი გაიტანა...

ერთი სიტყვით, საფრანგეთის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, ჩასატარებელი დარჩა სულ 3 ტური, უკანასკნელი შეხვედრები კი 22 მაისს გაიმართება. ჯერჯერობით ყველაფერი ბუნდოვანია: ვინ გახდება ჩემპიონი. ვინ მიიღებს ევროტურნირების საგზურებს, და, ბოლოს ვინ დატოვებს პირველ დივიზიონს.

ლიდერ „ოლიმპიკს" ერთგვარი უპირატესობა კი აქვს, მაგრამ მისი მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში იოლი არ არის. მორიგ XXXII ტურში 5 მაისს მას უმძიმესი მატჩი ელის პარიზში პსჟ-სთან. პარიზის კლუბი ერთხანს აუტსაიდერების სიახლოვესაც კი იყო, იცვლებოდნენ მწვრთნელები, მაგრამ ახლა მდგომარეობა თითქმის შედარებით გამოსწორდა. ინგლისიდან დაბრუნებული თავდამსხმელი მიშელ მადარი შედეგიანად თამაშობს, „ჰავრთან" ორი გოლი გაიტანა და კვლავ აქვს პრეტენზია საფრანგეთის ნაკრებში დაბრუნებაზე. საერთოდ „პარკ დე პრენსზე" პსჟ, რაც არ უნდა იყოს, მაინც იშვიათად მარცხდება. თუ მარსელელები დაამარცხა, მაინც არ ექნება უეფას ზონაში მოხვედრის პერსპექტივა, მაგრამ ხომ არსებობს სპორტული პრესტიჟის გრძნობაც. იმავ 5 მაისს არც „ბორდოს" ელის კარგი დღე. იგი სტუმრად თამაშობს ქვეყნის ექს-ჩემპიონთან (დიახ, შეიძლება ასე ვთქვათ), გაავებულ „ლანსთან".

XXXIII ტური 15 მაისს გაიმართება. „ოლიმპიკი" შინ ბრუნდება და აუტსაიდერებთან საკმაოდ ახლოს მყოფ „ოსერს" შეხვდება. თითქოს ეს ლიდერისათვის არც ისე მძიმე მატჩი უნდა გამოდგეს, თუმც ფინიშზე, როგორც ცნობილია, ყვლაფერი ხდება. გაცილებით უფრო მძიმე მატჩი ელის „ბორდოს" მესამე ადგილზე მყოფ „ლიონთან".

და ბოლოს, უკანასკნელი XXXIV ტური 22 მაისს გაიმართება. „ოლიმპიკი" სტუმრად ხვდება არათანაბრად მოთამაშე, მაგრამ საკმაოდ ძლიერ „ნანტს", რომელიც უეფას თასზე მოხვედრისათვის იბრძვის. ცხადია, ეს მეტად ძნელი მატჩი იქნება. „ბორდოს" კი პარდაპირ უმძიმესი პრობლემების გადაჭრა ელის: თამაში „პარკ დე პრენსზე" „პარი სენ-ჟერმენთან".

ერთი სიტყვით, „ოლიმპიკს" დღეისათვის „ბორდოსთან" შედარებით არა მარტო ორი ქულის უპირატესობა აქვს, არამედ რამდენადმე უფრო იოლი ფინიშიც, თუმცა მდგომარეობა მაინც საკმაოდ ბუნდოვანია — ვიმეორებთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

რაც შეეხება მესამე ადგილს, მისი დაუფლების პრეტენდენტი რეალურად



„რენი" – „ოლიმპიკი"

სამია: („ლიონი" „რენი" და „მონაკო") ისე კი, მეტნაკლები ალბათობით, გაცილებით უფრო მეტი.

მეორე ლიგაში გადასასვლელად განწირულია „სოშო". მძიმე მდგომარეობა აქვთ „ტულუზასა" და „ლორიანს". საფრთხე კიდევ რამდენიმე კლუბს ემუქრება.

რაც შეეხება სნაიპერთა დავას, აქ ჯერჯერობით 19 გატანილი გოლით წინ არის ვილტორი („ბორდო"), 15-15 გოლი მოდის ლალანდისა („ბორდო") და კაველიას („ლიონი") ანგარიშზე.

22 მაისამდე, ბევრი ალარაფერი რჩება ალბათ.

ბივი თორელი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ალდაირი ბრაზილიაში ბრუნდება

ბრაზილიელმა მცველმა ალდაირმა განაცხადა, რომ აღარ აპირებს „რომაში" დარჩენას. სეზონის დამთავრების შემდეგ იგი ბრაზილიაში დაბრუნდება.

### უსიამოვნება ნაკატას გამო

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია „პერუჯას" დასჯას აპირებს, რადგან იაპონელ ფეხბურთელ ნაკატასთან ხელშეკრულებაში დაშვებულია იურიდიული ხასიათის შეცდომები. კონტრაქტის დადებისას გამოიყენეს ვილაცა გარეშე პიროვნებები.

### გულშემატკივრები დრტვინავენ

„ფიორენტინას" გულშემატკივრებმა კლუბის საწვრნელ ბაზაზე პროტესტი განაცხადეს: მათ არ სურთ, რომ დირექტორატმა ახალი სეზონიდან მარსელის „ოლიმპიკიდან" მიიწვიოს ფაბრიციო რავანელი.

### „რეალი" ყველას ყიდულობს?

მადრიდის „რეალი" განაგრძობს მოლაპარაკებებს ახალი ფეხბურთელების შესაძენად. იგი პირველ რიგში თავდამსხმელებს ეძებს. ასახელებენ სავო მილოშევიჩის („სარაგოსა") დარკო კოვაჩევიჩის (სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი"), მარიო ჟარდელის („პორტუ"), ვან ნისტელროის („ეინდჰოვენი") და ნიკოლა ანელკას (ლონდონის „არსენალი") კანდიდატურებს. ამავე დროს, ერთმა საზღვარგარეთულმა კლუბმა „რეალს" კლარენს ზეედორფში 20 მილიონი დოლარი შესთავაზა. გარდა ამისა, მილანის „ინტერს" მოლაპარაკება აქვს „რეალთან" მცველ კრისტიან პანუჩის ყიდვის შესახებ.

### ვისი იმედით ჩაატარეს?

ნიგერიის მთავრობამ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის (20 წლამდე) ჩატარებას 215 მილიონი დოლარი მოახმარა. ამან მთელ ქვეყანაში აზრთა გაცხოველებული გაცვლა- გამოცვლაც გამოიწვია. განა შეიძლებოდა ამდენი თანხის დახარჯვა ქვეყანაში, სადაც საშუალო თვიური ხელფასი 33 დოლარია?

### ერთბაშად ორი კორიფე?

ქ. პორტუ-ალეგრის (ბრაზილია) კლუბი „სან-ჟოზე" მომავალში დიდი გუნდის შექმნას აპირებს. ნათელი არ არის, რა საშუალებით, მაგრამ „სან-ჟოზეს" სურს ახლო წარსულის ორი კორიფეს — მარადონასა და კარეკას მოწვევა. აი, მაშინ კი გვიყურეთ — ასეთია ამ პატარა ბრაზილიური კლუბის ქადილი.

### ერთმანეთს დაეხმარებიან

ჰოლანდიისა და ბელგიის მთავრობები შეთანხმდნენ ერთმანეთს დაეხმარონ, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ორგანიზებულად ჩატარებაში. სხვათა შორის, დაგეგმილია ამ ორი ქვეყნის პოლიციელების ერთმანეთში გაცვლაც.

### 24 ივლისიდან – მექსიკაში

კონფედერაციის თასის გათამაშებაში (დაიწყება 24 ივლისს მექსიკაში) მონაწილეობა დაგეგმა ბოლო გამარჯვებულმა — ბრაზილიის ნაკრებმა. მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ გადაწყვიტა არ ათამაშოს რივალდო, რომელიც ამჟამად ნაკრების უძლიერეს მოთამაშედ ითვლება.

### კოსოვოელ ლტოლვილებს დაეხმარებიან

„ნაპოლი" 14 ივნისს გამართავს საქველმოქმედო მატჩს, რომლის შემოსავალი კოსოვოს დევნილთა ფონდში შევა. მიწვევა გაეგზავნათ გამოჩენილ ოსტატებს, რომლებიც ადრე „ნაპოლში" გამოდიოდნენ.

### „მარაკანა" საერთაშორისო მუზეუმი გახდება

როგორც რიო-დე-ჟანეიროს შტატის გუბერნატორმა ანტონიო კაროტინომ განაცხადა, მომავალში განთქმული სტადიონი „მარაკანა" საერთაშორისო საფეხბურთო მუზეუმად გადაიქცევა.

### რაი დაბრუნდა

განთქმული ნახევარმცველი რაი ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა მინდორზე. იგი ახლა „სან-პაულუში" თამაშობს და ბრაზილიის თასის მერვედფინალურ მატჩში მონაწილეობდა.

### თუკი დიქტატორი მოვა

როგორც მარადონამ ჟურნალისტებს განუცხადა, არგენტინაში ხელისუფლების სათავეში ედუარდო დუალდე თუ მოექცევა, იგი დაუყოვნებლივ წავა ემიგრაციაში.

ედუალდო დუალდე არგენტინაში კარგად ცნობილი პოლიტიკოსია. იგი ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ გენერალ პერონის მომხრე და მიმდევარია. პერონი, როგორც ცნობილია, XX საუკუნის შუა წლებში დიქტატორული მეთოდებით მართავდა ქვეყანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვოლგოგრადელები ოლიმპიური სპორტის დასაცავად

მას შემდეგ, რაც რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა მომავალი თამაშებისათვის ვოლგოგრადელი სპორტსმენების მოსამზადებლად თანხები ვერ გამონახა, საოლქო ცენტრში შეიქმნა ოლიმპიურ სპორტზე მზრუნველთა საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თვით გუბერნატორი ნიკოლაი მაკსიუტი. ფირმებმა, ორგანიზაციებმა, ბიზნესმენებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამ თაოსნობას, თუმცა, საქმით თავი ბევრს ჯერ არ გამოუჩენია – 67 ორგანიზაციიდან მხოლოდ 13-მა გაიღო თანხა, თანაც სულ 150 ათასი რუბლი. ვოლგოგრადელი სპორტსმენების შეკრებებისა და შეჯიბრებებისთვის აუცილებელია სულ ცოტა 1,5 მილიონი რუბლი კვარტალში.

აი, ამ სიტუაციაში ნამდვილი „გმირობა“ გამოიჩინა ოლქის საფინანსო სამმართველომ, რომელმაც ყველას მოუწოდა ხელფასის ფონდის 10 პროცენტი გადარიცხონ სპორტკომიტეტის ანგარიშზე. თავად ამ სამმართველომ 17,5 ათასი რუბლი გაიღო.

კალათბურთი ● კადეტთა ევროპის ჩემპიონატი

# ჯგუფები, შედეგები და ფინალისტები

როგორც ვიუწყებოდით, კადეტთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს კალათბურთელებმა ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს. მათ გარდა, დასკვნით შეხვედრებში იასპარეზებენ სლოვენია (მასპინძლები), იუგოსლავია და რუსეთი (1997 წლის ფინალისტები), საფრანგეთი, ესპანეთი, მაკედონია, ლატვია, თურქეთი, საბერძნეთი, ხორვატია და პოლონეთი. იმასთან დაკავშირებით, რომ ევროსაბჭომ ყველას მოუწოდა ბოიკოტი გამოუცხადონ ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში იუგოსლავიას, შესაძლებელია, ამ ქვეყნის კალათბურთელები, რომლებსაც ფავორიტებად მიიჩნევდნენ, სლოვენიაში ველარ ვიხილოთ.

აქვე გთავაზობთ ჯგუფებში ვინ რა შედეგებს მიაღწია.

A ჯგუფი: 1. საფრანგეთი (5 გამარჯვება, წაგება – 0), 2. ესპანეთი (3-2), 3. საქართველო (3-2), 4. გერმანია (3-2), 5. ბელგია (1-4), 6. კვიპროსი (0-5).

B ჯგუფი: 1. მაკედონია (4-1), 2. ლატვია (4-1), 3. თურქეთი (4-1), 4. იტალია (2-3), 5. ისრაელი (1-4), ინგლისი (0-5).

C ჯგუფი: 1. საბერძნეთი (5-0), 2. ხორვატია (4-1), 3. პოლონეთი (3-2), 4. სლოვაკეთი (2-3), 5. ლიტვა (1-4), 6. უნგრეთი (0-5). ფინალური ეტაპი ჩატარდება 15-24 ივლისს სლოვენიაში.

# როგორაა ჩვენების საქმე?

რა დასამალია, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ იქამდეც მიგვიყვანა, რომ ზოგჯერ ჩვენი სპორტსმენების წარმატება ნაცვლად სიხარულის მონიჭებისა, ახალ თავსატეხს უჩენს სპორტის მესვეურებს. კადეტ კალათბურთელთა მიერ კვიპროსში მოპოვებულმა წარმატებამ და ფინალურ ეტაპზე გასვლამ, უკვე მთელი რიგი პრობლემები დააყენა დღის წესრიგში. „ხელი ემლება“ ეროვნულ ჩემპიონატს. ალბათ, პლეი-ოფის მატჩების რამდენიმე თვით გადაწევა გახდება საჭირო კადეტთა ნაკრების უკეთ მოსამზადებლად, ჩასატარებელია შეკრებები, ამხანაგური მატჩები, მოსაგვარებელია კვების, ხელფასების გაცემის საკითხები და ა.შ. ვფიქრობთ, ყველა დაბრკოლება უნდა გადაილახოს, რადგან იქნებ სწორედ კალათბურთელთა ამ თაობით იწყება ტრადიციების აღდგენა, რასაც დიდი ხანია სასოებით ველოდებით...

# კაპიტნის სახელობის

თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელს და დაუღალავ კაპიტანს, საქართველოს პარლამენტის სპორტის ქვეკომისიის თავმჯდომარეს მანუჩარ მაჩაიძეს ახლახან 50 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს მიეძღვნა მანუჩარ მაჩაიძის სახელობის თასის პირველი გათამაშება, რომელსაც „ფეიქარის“ სტადიონმა უმასპინძლა, იმ სტადიონმა, სადაც როგორც ფეხბურთელმა თავად აიდგა ფეხი მანუჩარ მაჩაიძემ. ორგანიზატორები იყვნენ ნაძალადევის რაიონის გამგეობა და საფეხბურთო კლუბი „გეორგია“. ტურნირში 1987 წელს დაბადებულთა 18 გუნდი მონაწილეობდა. საბოლოოდ სამივე საპრიზო ადგილი დინამოელებს ერგოთ. მესამე ადგილზე გავიდა დინამო 3, რომელიც ერთი წლით უმცროსი ბავშვებით იყო დაკომპლექტებული. ფინალში დინამო 1-მა მხოლოდ პენალტების სერიაში 4-2 აჯობა დინამო 2-ს (ძირითადი დრო 2-2 დასრულდა). გამორჩეული ფეხბურთელები თავად მანუჩარ მაჩაიძემ დააჯილდოვა. საუკეთესო მეკარედ აღიარეს გიორგი კაჭარავა (დინამო-1), მცველად კახა ვაჩეიშვილი, ნახევარმცველად ირაკლი ხელაძე, პერსპექტიულად და მაყურებელთა სიმპათიად ბექა გოცირიძე (სამივე — დინამო-3), საზრიანად შოთა გაბიჩვაძე (დინამო-2), ბომბარდირი გახდა გიორგი ბენდელიანი, „სიხარული“ ულამაზესი გოლის პრიზი კი ანდრო ელიზბარაშვილმა დაიმსახურა. ჩინებულად ორგანიზებული ტურნირის დასრულების შემდეგ, იუბილარის კოლეგებმა, პარლამენტარმა ფეხბურთელებმა, სათამაშოდ ნაძალადევის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გამოიწვია.




# დუნაი რიგში ჩადგა

ფეხბურთი მთელ დუნიაზე უყვართ, ეთაყვანებიან... ევროპის ჩემპიონატი დუნაიზე, თბომავალი გემით გასეირნება ერთი რომენტიკული ქალაქიდან მეორეში... ბუდაპეშტი, ვენა, ლინცი, ინსბრუკი, ზალცბურგი, გრაცი... ჰოდა, ავსტრიისა და უნგრეთის საფეხბურთო ასოციაციებმა, თავიანთი მთავრობების შეგულიანებითა და დიდი თანადგომით, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მასპინძლობა განიზრახეს. მათ სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს ევროპის საფეხბურთო საზოგადოებრიობას – „ფეხბურთის ძვირფასო მეგობრებო“. შექმნილია ამ პროექტის სპეციალური ერთობლივი კომიტეტიც, ოფიციალური სპონსორებით და ყველა საჭირო ატრიბუტით. მოკლედ, კამპანია მეტად შთამბეჭდავი, ძლიერი და კომპეტენტურია.

მიმართვის გარდა, ავსტრია-უნგრეთის გაერთიანებულმა კომიტეტმა „ლელოს“ რედაქციას სპეციალური ბუკლეტი (რაღა თქმა უნდა, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული) და ვიდეოკასეტაც გამოუგზავნა, რომლებიც ამ ორი ქვეყნის საფეხბურთო და არასაფეხბურთო ღირსშესანიშნაობებს მოიცავს.

მოკლედ, ბენელუქსური (ჰოლანდია – ბელგია) ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, რიგში დუნაური პროექტი ჩადგა.

## რეკორდები

**მძლეოსნობის** საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა მიმდინარე წლის 25 თებერვალს ჭერქვეშ, სტოკჰოლმში დამყარებული ქალთა ორი ახალი რეკორდი. ერთი ეკუთვნის მოზამბიკელ მარია მუტოლას 1000 მ. რბენაში – 2.30,94 (გააუმჯობესა თავისივე მიღწევა – 2.31,23), მეორე – გერმანელ ნიკოლ რიგერხუმბერტს ჭოკით ხტომაში – 4.56 მ.



ბოიკოტი

# სპორტული ბლოკადა იუგოსლავიას

ევროსაბჭო დაჟინებით მოითხოვს თავისმა წევრმა ქვეყნებმა გაწყვიტონ ყოველგვარი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა იუგოსლავიასთან, როგორც გენოციდის გამჩაღებელ ქვეყანასთან. ამ მოთხოვნას სპორტული სამყაროდან ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მაგიდის ჩოგბურთის ევროპის კავშირი და იუგოსლავიის გუნდს ევროპაში ყველა დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვა.

კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი



*დაიწყო ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ბოლო, IV წრის მატჩები. „დინამო“ – სსუ 87:74, „მაკაბი“ – „შევარდენი“ 74:59, თსუ – სტუ 103:93) „აზოტი“ – ასკ 102-87, „ვითა“ – სდასუ 75:59, სდასუ – „აზოტი“ 81-83, სტუ – „მაკაბი“ 80:74, „ვითა“ – „დინამო“ 95:87, ასკ – „შევარდენი“ 92:95, თსუ – სსუ 97:84.*

# რა ხდება ქვეყანაზე

## ქორწინება... მარათონულ დისტანციაზე

დაუჯერებელია? არა, ეს ფანტაზია არ გახლავთ. ასეთი რამ ნამდვილად მოხდა ამას წინათ, ლონდონში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო მარათონში. მაიკ გემბლმა და ბარბარა კოულმა, რომლებისთვისაც ეს მარათონი რიგით მესე იყო, ჯერ კიდევ ფლორიდაში გაიცნეს ერთმანეთი რბენისას და ახლა დაქორწინება გადაწყვიტეს. ამ ფუვილმა ტრასაზე მდებარე ეკლესიაში შეირბინეს, სადაც მათ უკვე ელოდნენ მოწმეები, მიწვეული სტუმრები და ჯვარი დაიწერეს, ხანმოკლე ცერემონიის შემდეგ კი ისევ გაუდგნენ გზას.

## კომპანიამ ზურგი შეაქცია

საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში კორუფციასთან და სოლტ-ლეიკ-სიტში 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებთან დაკავშირებულმა აჟიოტაჟმა, კომპანია „ჯონსონი და ჯონსონი“ საორგანიზაციო კომიტეტთან თანამშრომლობის შეჩერებისა და სპონსორობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. არადა, ეს კომპანია 30 მილიონი დოლარით უნდა დახმარებოდა თამაშების ორგანიზატორებს. ცხადია, ეს ნაბიჯი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ორგანიზატორებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ — ის 30 მილიონი საიდანმე ხომ უნდა მიიღონ...

## ფორმენიც ალაპარაკდა, მაგრამ...

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, მძიმეწონოსანი პროფესიონალი ამერიკელი ჯორჯ ფორმენი კრივის საერთაშორისო ფედერაცია (იბფ) ბრალს სდებს რეიტინგით ვაჭრობასა და შედეგის წინასწარი შეთანხმებით პაექრობების გამართვაში. ამის თაობაზე ფორმენმა უკვე მისცა ჩვენება სასამართლოში. დიდი ჟიური მთელი საათის განმავლობაში აძლევდა შეკითხვებს მოკრივეს მისივე ადვოკატის თანდასწრებით, მაგრამ... ფორმენმა ვერც ერთი ბრალდება ფაქტებით ვერ დაასაბუთა.

# ორგზის „პირველი მერცხალი“



იაპონურმა ფირმა **Yuki Tovil**-მა, რომელიც ძირითადად სპორტული სტილის ტანსაცმელს აწარმოებს, მეტად ორიგინალურად მოაწყო თავისი ახალი კოლექციის დემონსტრირება პოდიუმზე - მათ მოდელად „ტანწერწეტა“ სიოტა იასუკიჩის უხმეს, ყოფილ სუმოისტს, რომელიც 275 კილოგრამს იწონის...

სიოტი იასუკიჩი კიდევ იმით არის შთამბეჭდავი მოვლენა, რომ ის „პირველი მერცხალია“ სუმოში. მოგეხსენებათ, ადრე მხოლოდ იაპონელებს შეეძლოთ სუმოისტად გახდომა, სიოტი იასუკიჩი კი ჰავაელი გახლდათ და 1987 წელს პირველად სწორედ მას დართეს ნება სუმოში ეცადა ბედი. წარმატებებმაც არ დააყოვნა - კონიშიკი (სიოტი იასუკიჩის ადრინდელი სახელი) ჯერ „ოზეკის“ ტიტულს (პრესტიჟით მეორე ტიტული სუმოში) დაეუფლა, მერე კი უმაღლეს წარმატებასაც მიაღწია, როცა „დიდი ჩემპიონი“ („იოკოძუნა“) გახდა. თუმცა შარშანწინ ერთ-ერთ ტურნირზე რანგით დაბალ და თანაც მასზე 95 კგ-ის მსუბუქ სუმოისტთან დამარცხდა. კონიშიკიმ ასეთი მარცხი ვერ აიტანა, რის გამოც გამოემშვიდობა კიდეც სპორტულ კარიერას. ახლახან კი კვლავ პირველი გახდა, ოღონდ როგორც მანეკენი, რომელიც ორ ცენტნერზე მეტს იწონის.

# სახელოვანი ალფრედ რამსეი



ალფ რამსეი სპორტულ სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ემსახურა იგი ფეხბურთს, როგორც მოთამაშე, მწვრთნელი და ორგანიზატორი. ალფ რამსეი დაიბადა 1920 წლის 22 იანვარს დანგჰემში. 1942 წელს თამაში დაიწყო „საუტჰემპტონში, შუამარბად, მაგრამ ძალიან მალე შეიცვალა ამპლუა და გახდა შესანიშნავი მარჯვენა მცველი. 1949 წელს გადავიდა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსში“. 1948 წელს დებიუტი ჰქონდა ინგლისის ნაკრებში შვეიცარიასთან (6-0) ლონდონში 1950 წელს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ბრაზილიაში ჩატარდა, ინგლისელთა კაპიტანი იყო. სულ ნაკრებში 32-ჯერ ითამაშა (გაიტანა 3 გოლი) და 1953 წლის 25 ნოემბერს გამოეთხოვა მას ლონდონში უნგრელებთან დამარცხების (3-6) შემდეგ. ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში.

კიდევ მეტ წარმატებებს მიაღწია როგორც მწვრთნელმა. 1955 წელს სათავეში ჩაუდგა „იფსვიჩ თაუნს“, სამი წლის განმავლობაში (1960 -1962) კლუბი მესამე ლიგიდან პირველში გადავიდა და მაშინვე გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ეს უკვე არნახული ტრიუმფი იყო. ამის შემდეგ რამსეი ნაკრების მწვრთნელად მიიწვიეს, სადაც 1974 წლამდე იმუშავა.

1966 წელს რამსეიმ თავისი სამწვრთნელო მოღვაწეობის მწვერვალს მიაღწია — მისი ხელმძღვანელობით ინგლისის ნაკრები პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ამ განსაკუთრებული მიღწევისათვის ალფ რამსეის რაინდული „სერის“ წოდება მიენიჭა.

ბოლო წლებში რამსეი პენსიაზე იყო, მაგრამ მაინც დიდ ინტერესს იჩენდა ინგლისის საფეხბურთო ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენისადმი.

იგი 30 აპრილს გარდაიცვალა.

# კაფელნიკოვი პირველია. დიდი ხნით?



რუს ჩოგბურთელ ევგენი კაფელნიკოვს ამ ბოლო ხანებში რამდენჯერმე ჰქონდა საშუალება გადაესწრო მსოფლიო რეიტინგ-ლისტში პიტ სამპრასისათვის. ზოგჯერ ეს ერთი მატჩის მოგებაზეც კი იყო დამოკიდებული, მაგრამ კაფელნიკოვი ვერ ახერხებდა საწადელის მიღწევას.

და აი, გუშინ კაფელნიკოვი მაინც გამოცხადდა მსოფლიო რეიტინგ-ლისტის ლიდერად. ეს მას შემდეგ მოხდა რაც პიტ სამპრასმა ავადმყოფობის გამო ატლანტას (აშშ) საერთაშორისო ტურნირი გამოტოვა, და, ამდენად, სარეიტინგო ქულები კიდევ ერთხელ დაკარგა. კაფელნიკოვი კი, თუმცა მარცხიანად თამაშობს, ტურნირებში მონაწილეობისათვის მაინც იღებს ქულებს და...

...წინ მიდის!

ამრიგად, ახლა კაფელნიკოვი პირველია სამპრასი კი მეორე. მაისის განმავლობაში ერთიც აპირებს შეჯიბრებებში მონაწილეობას და მეორეც, ისე რომ, სამპრასს შეუძლია დაიბრუნოს ლიდერის პოზიცია.

ჩოგბურთი

# ქალები მოითხოვენ

60-ზე მეტმა ცნობილმა ჩოგბურთელმა ქალმა, მათ რიცხვში მარტინა ჰინგისმა, ლინდსეი დევენპორტმა და იანა ნოვოტნამ, ხელი მოაწერეს პეტიციას მოთხოვნით „დიდი მუზარადის“ ოთხივე ტერნირში გამარჯვებულთათვის ქალთა და ვაჟთა საპრიზო-თანხების გათანაბრების შესახებ. აქამდე ეს წესი მხოლოდ „ფლეშინგ-მიდოუში“, ანუ აშშ-ს ღია ჩემპიონატში მოქმედებდა.

# სპორტული პრესის ასოციაციის ლაურეატი

სპორტული პრესის ასოციაცია აშშ-ში 1981 წელს დაარსდა. მისი პირველი ლაურეატი გახდა „ნიუ-იორკ თაიმსის“ მიმომხილველი რედ სმითი.

გამოცხადდა ასოციაციის ახლანდელი ლაურეატის გვარიც. ამჯერად პრიზი მიენიჭა ცნობილ საჩოგბურთო ჟურნალისტსა და ტელეკომენტატორ ბად კოლინზს.



# კასპაროვის დიდი ოპტიმიზმი

*მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, რომელმაც თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გააცდინა, წლეულს ზედიზედ მოგებული ორი: ვეიკ-ან-ზეესა და ლინარესის სუპერტურნირის შემდეგ დიდი ოპტიმიზმით გაიმსჭვალა.*

— ახლა კარგად ვითვლი ვარიანტებს. ბევრი სადებიუტო იდეაც მაქვს ჭადრაკის ყველა სახეობისთვის: ელვისებური თამაშის, კომპიუტერთან შეხვედრის, აქტიური ჭადრაკისა და ა.შ. ბოლოს და ბოლოს, შევძელი ჩემი საჭადრაკო ცხოვრების ორგანიზაცია. ვლადიმირ კრამნიკთან ელვისებურ ჭადრაკის მატჩში კარგად ვთამაშობდი, თუმცა ბევრი შეცდომაც მომდიოდა. შემოქმედებითი თვალსაზრისით ეს ძალიან კარგი პაექრობა იყო. ბევრი ამბობდა, კრამნიკთან მატჩი მაინც ის არ არის, აი ანანდს რომ ეთამაშო.... კი, ბატონო. ვეიკ-ან-ზეეში ხომ შევხვდი ელვისებური ჭადრაკის ტურნირში ანანდს (იქ კასპაროვმა ქულანახევრით გაუსწრო ანანდსა და ივანჩუკს. ეს შეჯიბრება საერთაშორისო ტურნირის გამოსასვლელ დღეს გაიმართა).

... ბევრ საერთაშორისო ტურნირში გავიმარჯვე, მაგრამ ასეთი რწმენა და შემოქმედებითი ამაღლობა არასოდეს მქონია. ცხადი იყო თამაშის ხარისხის განსხვავება, ერთი მხრივ ჩემსა, ხოლო მეორე მხრივ ანანდს, კრამნიკსა და სხვა მონაწილეებს შორის. მე ბევრი თეორიული სიახლე მოვამზადე, ჩემი ცხოვრების სტილიც შევცვალე და უფრო კონკურენტუნარიანი გავხდი. ახლა ჭადრაკზე ვარ კონცენტრირებული და აი, შედეგიც.

● ***რანაირად შეცვალეთ თქვენი ცხოვრება?***

— იმ დროს, ტელეფონით ფუჭ საუბრებზე რომ ვხარჯავდი, ახლა შვილს ვანდომებ. ეს სულიერად მეტად სასიამოვნოც არის და ჩემს ხასიათსაც უფრო შეეფერება. ახლა ჩემი ცხოვრება უფრო ორგანიზებულია, ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი მოვაწესრიგე, ჭადრაკს რეგულარულად ვუთმობ დროს — აქ არა აქვს მნიშვნელობა, სად ვიმყოფები. ზოგჯერ სულ ცოტას, მაგრამ მაინც ვმეცადინეობ. ტურნირისწინა შეკრებებზე შემიძლია ჭადრაკს 6-7 საათიც დავუთმო: ძალიან გამიმართლა, რომ 1994 წელს მწვრთნელად იური დოხოიანი მოვიწვიე; იგი ძალიან პროდუქტიულია, შეუძლია ჭადრაკს დღეში 6-7 საათზე მეტი დ როცა კი დაუთმოს. ისე რომ, ჩვენ ძალიან შევეწყვეთ ერთმანეთს. იგი კომპიუტერითაც მუშაობს, ამოწმებს ვარიანტებს, აქვს ახალი საჭადრაკო იდეები. ეტყობა, ამ მხრივ პირველად გამიმართლა 70-იანი წლების შემდეგ, როცა ჩემთან ნიკიტინი თანამშრომლობდა. ახლა მწვრთნელთან მუშაობის სრული იმედი მაქვს, თითქმის ოთხი ათასი ორიგინალური ანალიზი მაქვს, უფრო ზუსტად — 3920! ბევრს ვმუშაობ კომპიუტერით, რაც ძალიან მეხმარება.

● ***ძალიან ენდობით ამ კომპიუტერს. იგი ნაკლებ სიამოვნებას ხომ არ განიჭებთ?***

— არა, ყველაფერი ბალანსირებულია. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბალანსის დადგენას, რასაც მივაგენი. მაქვს ულევი იდეები, კარგი პოზიციის მიღების საშუალებას რომ მაძლევს, თამაში კი ძალიან მიყვარს.

... აი, ვლადიმირ კრამნიკიც ხშირად თამაშს იწყებს ისეთი პოზიციიდან, რომელიც შინ კარგად აქვს შესწავლილი. ვიში ანანდმაც თქვა, რომ კრამნიკს რომ ხვდებოდა, პოზიცია საგულდაგულოდ ჰქონდა გაანალიზებული.

● ***ახლა ლაპარაკია თქვენი და ანანდის შესაძლებელ მატჩზე.***

— მეცენატ ბესელ კოკის (ბელგია) თავდაპირველი იდეა ასეთი იყო: მოეწყო ჩემი მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან ფიდეს ვერსიით. მაგრამ იმის გამო, რომ ფიდეს ჩემპიონატი უახლოეს მომავალში ვერ მოეწყობა, ბესელ კოკის გადაწყვეტილებაც შეიცვალა. ვინ არის ახლა მსოფლიოში №1 მოჭადრაკე, ეს, ვფიქრობ, ახლა არავის აეჭვებს. არის №2 მოჭადრაკეც, რომელიც იმარჯვებდა ყველა ტურნირში, სადაც მე არ ვმონაწილეობდი. რაღა გვინდა სხვა? იმის მაგივრად, რომ ლას-ვეგასსა და ელისტაში გავემგზავროთ, შეგვიძლია მე და ანანდმა ნამდვილი მატჩი ვითამაშოთ. მან ეს უფლება ნამდვილად დაიმსახურა. დავივიწყოთ ის მრავალრიცხოვანი შესარჩევი ტურნირები, რომელთა გამართვა საჭირო არ არის. რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ცოტა ვინმეს აქვს მსოფლიო ჩემპიონთან დიდ მატჩში შეხვედრის პრეტენზია.

● ***ახლა ის გვითხარით, რაც ალექსეი შიროვს შეეხება.***

— შიროვს ვუთხარი, რომ თანახმა ვიყავი მასთან მეთამაშა, მაგრამ ფულს ვინ გადაიხდიდა? ამ მატჩისათვის ფული არავის აღმოაჩნდა. იგივე პრობლემა ორი წლის წინათ კარპოვსაც ჰქონდა. რაც შეეხება ანანდთან შესაძლო მატჩს, აქ უკვე გვაქვს 3 მილიონდოლარიანი სერიოზული წინადადება. არიან სხვებიც, ასევე დაინტერესებულები ამ ორთაბრძოლით. ანანდთან მატჩი სპორტულ ინტერესს იწვევს, ბევრნი თანახმანი არიან ფული გაიღონ ამ სანახობისათვის. მართალია, დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებ, მაგრამ ანანდიც იბრძოლებს, შეხვედრა დაძაბული უნდა გამოდგეს.

## „ტოტო-ლოტო“ – მილიონთა თამაში!

*2 მაისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეჩვიდმეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**5. 20. 21. 31. 33. 35.**
3 ციფრი – 1.60 ლარი.
4 ციფრი – 15.00 ლარი.
5 ციფრი – 281.80 ლარი – გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

**„ჯეკ-პოტი“ 31 106 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: **7. 2. 3. 4. 0. 3. 4.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 9 მაისს.

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი 98“-ის და „ოლიმპის“ მოუგებელ ბილეთებზე ფულადი და ნივთობრივი მოგებები, რომლებიც წილად ხვდათ:
ლატარია „ოლიმპ“-ში – ნუკრი გამყრელიძეს (თბილისი) – ყავის ელექტროსაფქვავი. ბილეთის №001904, ბესიკ ცხვარიაშვილს (თბილისი) – მაჯის საათი. ბილეთის №034957.
ლატარია „გოლი 98“-ში ქეთინო სირაბიძეს (თბილისი) – 50 ლარი. ბილეთის №03904-005, პაატა ბარბაქაძეს (თბილისი) – ვოლქმენი. ბილეთის №02485-195.
ამასთან ერთად, გამარჯვებულებს გადაეცემათ აღნიშნული ლატარიის ბილეთების კომპლექტები. პრიზები გაიცემა ერთი თვის განმავლობაში, საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდის ოფისში. მის: ყ. შარტავას №40. „გოლი-98“-ის და „ოლიმპ“-ის მოუგებელ ბილეთებზე პრიზების გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს!

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი




### მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

**4 მაისი, სამშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** სუპერ-მატჩი (21.00), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიო სტადიონებზე (12.30, 19.30), ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (22,55). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15, 21.55), გერმანიის ჩემპიონატი (16.00, 22.55), „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“ (17.00), ინგლისის ჩემპიონატი: „არსენალი“ – „დერბი ქაუნთი“ (17.20). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (13.00), ფეხბურთი ჰოლანდიიდან: „ფეიენოორდი“ – „აიაქსი“ (ამსტერდამი – 14.30). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: სანმარინო – ავსტრია (21.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (15.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთიდან (4.00).

**5 მაისი, ოთხშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: დინამო (თბ) – ლოკომოტივი (18.00). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.55), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიოს სტადიონებზე (12.30, 19.30), ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი: ლივერპული – მანჩესტერი (23.45, 0.45). ***ევრიკა.*** სპორტული პროგრამა „სტუმარი“ (21.00). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (13.15, 1.40), გერმანიის ჩემპიონატი (13.45), იტალიის ჩემპიონატი (16.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (17.40), ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (18.35), ჰოლანდიის ჩემპიონატი (19.15), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.00), ინგლისის ჩემპიონატი: „ლივერპული“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (23.40). ***НТВ плюс спорт.*** ევროპის საფეხბურთო ლიგის მიმოხილვა (22.45). ***ESPN.*** კალათბურთი ნბა (4.00, 18.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (11.00, 21.00), ბრაზილიიდან: „ფლუმინენსე“ – „ბანგუ“ (13.30), ინგლისიდან: „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ლივერპული“ (პირდაპირი რეპორტაჟი) – 22,45 ***EUROSPORT.*** ფეხბურთი, ევროგოლები (11.30). ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00, 23.00).

**6 მაისი, ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიო სტადიონებზე (12.30), ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (19.20, 20.30), ***ევრიკა.*** „ფეხბურთის ლეგენდები“ (21.30). ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი: „ლივერპული“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (15.30), ჰოლანდიის ჩემპიონატი (17.15), გერმანიის ჩემპიონატი (19.20). ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (21.05), „ფეხბურთის მსოფლიო ვარსკვლავები“ (22.40), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.15). ***ESPN.*** ფეხბურთი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: სან-მარინო – ავსტრია (11.00), ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (18.00), ინგლისის პრემიერლიგა: 19.00 – მიმოხილვა, 19.30 – „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ლივერპული“. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: სანმარინო – ავსტრია (23.30). ***EUROSPORT.*** „მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები“ (15.30).

**7 მაისი, პარასკევი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიო სტადიონებზე (19.30), ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი (22.50, 23.45). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (22.55), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.05), ბრაზილიის ჩემპიონატი (19.45), ჰოლანდიის ჩემპიონატი (21.05), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“ (0.55). ***ESPN.*** ფეხბურთი ჰოლანდიიდან „ფეიენოორდი“ – „აიაქსი“ (3.30), ბრაზილიური ფეხბურთი (8.00), კალათბურთი. ნბა. (12.30), ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (15.00), ფეხბურთი ბრაზილიიდან – 21.00, ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეული მიმოხილვა (23.00). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.30, 16.00, 18.30, 2.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (4.00).

**8 მაისი, შაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.35), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ევრიკა. „სტუმარი“ (19.45). ***НТВ плюс футбол.*** „მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები“ (13.15), გერმანიის ჩემპიონატი (14.15, 18.25), ჰოლანდიის ჩემპიონატი (16.30), ბრაზილიის ჩემპიონატი (20.55), ამერიკის ლათინური ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (23.30). ***ESPN.*** ფეხბურთი: აშშ-დან „დალას ბერი“ – „მაიამი ფუზენი“ (1.30), ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (3.30). კალათბურთი. ნბა. (4.30, 5.00), ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (8.00, 14.30) – „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ლივერპული“, 19.00, 19.30, 21.30 – ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.00, 22.00, 2.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30, 1.30)

**9 მაისი, კვირა**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი: საქართველოს ჩემპიონატი, ლოკომოტივი – მერანი-91 (18.00), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი (19.55, 0.15) ინგლისის ჩემპიონატი (22.00). ***ევრიკა.*** კვირის სპორტი (17.45). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15), ლათინური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.30). ესპანეთის ჩემპიონატი (15.55), იტალიის ჩემპიონატი (0.15). ინგლისის ჩემპიონატი: „მიდლსბრო“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (22.00). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (0.30, 9.30, 10.00, 12.00, 19.00). კალათბურთი, ნბა: (8.00, 18.00, 23.00). ***EUROSPORT.*** რალი, მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 18.00, 0.30, 4.00), ცხენოსნობა. ერების თასი, საფრანგეთიდან (21.00), მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.00), ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი, ნორვეგიიდან (23.00) კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00).

## დაიწვა ყველაზე ძვირადღირებული...

ახალზელანდიის პორტის აკვატორიაში დიდი ტრაგედია დატრიალდა – უეცარმა ხანძარმა შთანთქა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი (32 მ.) და ყველაზე სწრაფი, ამასთან, ყველაზე ძვირადღირებული (აგება დაჯდა 4 მილიონი დოლარი) ნავი (კატამარანი), რომლითაც ამერიკელმა მილიარდელმა ჯ. ფოსეტმა სადღეღამისო გადასვლის მსოფლიო რეკორდი დაამყარა – 24 საათში დაფარა 1074 კმ.

## ჩაწერეთ მხოლოდ ფიფას წევრი ქვეყნები



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:



## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
სოფ. კარდენახი



**მატი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლh8! ცუგცვანგი.
1. ...მფb4 2. ლ:c3+!
1. ...მფ:d6 2. ლb5+!
1. ...მფb6 2. ლe5.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე